წელიწადი მეოთხე — ფასი 10 კ. — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ბრძოლის ხმა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა 26 თებერვალი 1928 წელი

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპ. № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე

№ 58 (6)

## ჟურნალის შინაარსი

ისტორიული გამართლებული ნაბიჯი — **ს. ელიაძე**; ქართული მეცნიერების ათი წლის თავი — **ლეო შენგელაია**; ისტორიული დღე — **კ. ჭეიშვილი**; **გ. ქუჩიშვილის** — ლექსები; ქორწილი შვიდეულით — ლექსი — **ნ. ზომლეთელი**; პოლიტიკური გადასახლებულის ხმა — **თეოფილე კალანდაძე**; პასუხი ნოე რამიშვილის შეკითხვებზე — **ვლ. პაპავა**; ქართველი მენშევიკები და დამოუკიდებელი საქართველო — **ა. ხელაძე**; მიწის საკითხი საქართველოში — **პ. გელიშვილი**; ყოფ. ახ. მარქსისტთა განყოფილება; პროსტიტუცია წინედ და ეხლა — **ალ. გვასალია**.

# ისტორიულად გამართლებული ნაბიჯი

რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს მშრომელ ხალხს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ყოფილ იმპერიაში შემავალ დანარჩენ ერებთან შედარებით, პატარა საქართველოს მშრომელმა ხალხმა ყველაზე უფრო მეტი მსხვერპლი გაიღო თვითმპყრობელობის დასამხობად.

საქართველოს მშრომელი ხალხის ასეთ თავგანწირვას ჰქონდა თავისი სპეციალური მიზეზებიც.

თვითმპყრობელური რეჟიმი საქართველოს ავიწროებდა როგორც პოლიტიკურ-ეკონომიურად, ისე და კიდევ უფრო მეტად ეროვნულად.

რუსეთის თვითმპყრობელობა ყოველმხრივ ცდილობდა საქართველოს, როგორც ეროვნული ერთეულის ამოშლას რუსეთის იმპერიის რუქიდან, მის გათქვეფას და გადაგვარებას. ამ მიზნით იდევნებოდა ყოველივე ის, რასაც კი ქართული ეროვნული სახე ჰქონდა.

ერის არსებობისათვის აუცილებელია სამი უმთავრესი პირობა: ტერიტორია, ენა, და მეურნეობის განვითარება.

როგორი იყო ამ მხრივ საქართველოს მდგომარეობა თვითმპყრობელობის დროს?

თვითმპყრობელური მთავრობა საქართველოში აწარმოებდა წმინდა წყლის კოლონიალურ პოლიტიკას. ამის ნათელსაყოფად საკმარისია მოვიგონოთ ახლო წარსული გურიის ცხოვრებიდან, ვინ არ იცის, რომ გურული გლეხი ყველაზე უფრო მეტად განიცდიდა მიწის სივიწროვეს? მიუხედავად ამისა, თვითმპყრობელობამ სადგურ ნატანების ახლოს დაასახლა რამოდენიმე ასეული კომლი ოსმალეთიდან გადმოსახლეღული უცხოელები, რომლებიც ერთ დროს ტყვედ ყოლოდათ წაყვანილი ოსმალეთის მთავრობას. სხვა მაგალითების დასახელებას ჩვენ აქ აღარ გამოვუდგებით

ასეთივე მდგომარეობაში იყო ენის საკითხიც. ქართული ენა განდევნილი იყო საქართველოს სკოლებიდან და მის ნაცვლად იქ მოსწავლე ბავშვებს აჩეჩებდენ სამღვთო სჯულს და რუსულ ენას.

რაც შეეხება თვითმპყრობელობის ეკონომიურ პოლიტიკას საქართველოში, ეს პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ არ შექმნილიყო არცერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საწარმოო დარგი და ჩვენი ქვეყანა მუდამ მდამოკიდებული ყოფილიყო ცენტრზე. თვითმპყრობელობის დროს საქართველო წარმოადგენდა მხოლოდ ნედლი მასალის წყაროს რუსეთის მრეწველობისათვის და ამას ზედ ერთვოდა აგრეთვე სრული უყურადღებობა სასოფლო მეურნეობის განვითარების საქმეშიაც.

ასეთ პირობებში სრულიადაც არ იყო მოულოდნელი, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი თავდადებულად იბრძოდა იმ რეჟიმის მოსასპობად, რომელიც უქადდა მას სრულ ეროვნულ და ეკონომიურ განადგურებას.

საქართველოს მშრომელმა ხალხმა თავისი განთავისუფლების ბედი იმ თავიდანვე დაუკავშირა რუსეთში რევოლიუციის მოხდენის საკითხს და ამიტომ იბრძოდა ის ხელი-ხელჩაკიდებული რუსეთის იმპერიაში შემავალ დანარჩენ ერებთან ერთად.

თებერვლის რევოლიუციიდან საქართველოს მშრომელი ხალხი მოელოდა თავისი კანონიერი უფლებების დაკმაყოფილებას. ის მაშინ სრულიადაც არ ფიქრობდა სეპარატიულ მისწრაფებაზე და მთელი თავის იმედებს ამყარებდა დამფუძნებელ კრებაზე.

მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოირკვა თებერვლის რევოლიუციის შინაარსი. ყველასთვის აშკარა გახდა, რომ რევოლიუციისა და ხელისუფლების სათავეში მოქცეული კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია და წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები ესერ-მენშევიკების სახით, სრულიადაც არ ფიქრობდენ არც მშრომელი ხალხის ეკონომიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და მით უმეტეს ეროვნული საკითხის წვრილ ერთა სასარგებლოდ გადაჭრას. მათი მთავარი გულისყური იქეთკენ იყო მიპ-

ყრობილი, რომ რუსეთი მის მოკავშირეებთან ერთად მსოფლიო ომიდან გამარჯვებული გამოსულიყო, რითაც ბურჟუაზია ადვილად მოახერხებდა რესტავრაციის მოხდენას და კვლავ თვითმპყრობელობის ტახტის აღდგენას.

კორნილოვის აჯანყება ამ მხრივ იყო პირველი მერცხალი რუსეთის ბურჟუაზიის ნამდვილი ზრახვების გამოაშკარავებისათვის. ბურჟუაზია და დროებითი მთავრობა კერენსკის მეთაურობით— განგებ აჭიანურებდა დამფუძნებელი კრების მოწვევას, რათა მასებში შეექმნათ რევოლიუციონური აღტყინების შენელება და ხელი შეეწყოთ რეაქციის გაძლიერებისათვის.

მაგრამ ბურჟუაზიასა და რეფორმისტულ პარტიებს არ გაუმართლდა მათი იმედები. რევოლიუციონურმა მუშათა კლასმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თებერვლის რევოლიუციიდან რვა თვის გასვლის შემდეგ ბოლო მოუღო კერენსკის დროებითი მთავრობის მოღალატურ საქმიანობას და 25 ოქტომბერს გამოაცხადა პროლეტარიატის დიქტატურა, შექმნა საბჭოთა ხელისუფლება.

ამ უდიდესმა ისტორიულმა ფაქტმა თავზარი დასცა არა მარტო ბურჟუაზიულ პარტიებს, არამედ ესერ-მენშევიკების პარტიების ლიდერებსაც. ისინი დაუყოვნებლივ გადაუდგენ ოქტომბრის რევოლიუციას და ბურჟუაზიასთან ერთად გააჩაღეს ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამ საერთო კონცერტს არც საქართველოს მენშევიკური პარტია ჩამორჩა და მანამდის რუსეთის მთლიანობის უდიდესი პატრიოტი, დღეს შეიქმნა მთავარი მებაირახტრე ამიერ-კავკასიისა და კერძოდ საქართველოს რუსეთიდან ჩამოცილებისა და მისი დამოუკიდებლობის გამოცხადების საქმეში.

ის ხალხი, რომელიც გუშინ უკრაინასა და ფინეთს ურჩევდა რევოლიუციის ინტერესებისათვის არ წამოეყენებიათ ეროვნული საკითხის გადაჭრის მოთხოვნილება და ეს ჰიენდოთ მხოლოდ დამფუძნებელი კრებისათვის, რამოდენიმე დღის განმავლობაში იცვლის შეხედულებას და დამოუკიდებლობის მომხრეთ გვევლინება.

მათი ასეთი ფერისცვალება რომ მართლა გულწრფელი ყოფილიყო, ამა რის თქმა შეიძლებოდა ამის საწინააღმდეგოდ, მაგრამ როდესაც მენშევიკები ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის სდგამდენ პირველ ნაბიჯს, მაშინვე აღიარებდენ, რომ ეს იყო დროებით ზომა, გამოწვეული რევოლიუციის გადასარჩენად. **რა წამს რუსეთში დამარცხდებოდა საბჭოთა ხელისუფლება, ამიერ-კავკასიაც დაუყოვნებლივ ხელს აიღებდა დამოუკიდებლობაზე და კვლავ შეუერთდებოდა რუსეთს.**

არ გამართლდა მენშევიკური დიაგნოზი. არც საბჭოთა ხელისუფლება დამარცხდა და ვერც ამიერ-კავკასიის ერთა ინტერესების შეთანხმება შესძლეს მუსავატ-დაშნაკ მენშევიკების ბლოკმა, არც ოსმალეთის მაშინდელმა მთავრობამ,— რომლთანაც ამიერ-კავკასიის კომისარიატი საზავო მოლაპარაკებას აწარმოებდა,— ჩასთვალა იურიდიულ პირათ მთლიანი ამიერ-კავკასია და მოითხოვა მისი დანაწილება სამ რესპუბლიკათ, რომლებთანაც უფრო ადვილად განახორციელებდა თავის იმპერიალისტურ ზრახვებს.

„რევოლიუციის ინტერესბისათვის“ საქართველოს მენშევიკური პარტიის ლიდერები ამ დათმობაზედაც წავიდნენ და 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ შემთხვევაშიაც ისინი ნიანგის ცრემლებს ღვრიდენ და რუსეთის „დემოკრატიას“ ებოდიშებოდენ: **ჩვენ სრულიადაც არ გვამოქმდებს სეპარატიული მიდრკილებანი, მაგრამ თუ მაინც იძულებული გავხდით საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადების, ამას გვაიძულებს ერთის მხრით ოსმალეთის მთავრობა და მეორეს მხრივ რუსეთში გამეფებული ანარქიაო.** მენშევიზმის ლიდერები ფიცს სდებდენ, რომ კვლავ რჩებოდენ ერთგული ბურჟუაზიული რუსეთის მთლიანობის.

დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის სამი წლის მანძილზე მენშევიკურ გაზეთ „ერთობა“-ში ხშირად შეხვდებოდა მკითხველი მოწინავე წერილებს ისეთი ტენდენციით, რომელშიაც აშკარად გამოსჭვივოდა მენშევიკური პარტიის არაგულწრფელი დამოკიდებულება საქართველოს დამოუკიდებლობისადმი.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მართლა დამარცხებულიყო საბჭოთა ხელისუფლება საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, მენშევიკური პარტიის ლიდერები უმალვე იცვლიდენ ფერს და შეეცდობოდენ საქართველოს კვლავ რუსეთთან შეერთებას.

მაგრამ მოხდა საქართველოს გასაბჭოება 1921 წლის 25 თებერვალს და ამის შემდეგ მართლა გახდენ ქართული მენშევიზმის ლიდერები საქართველოს დამოუკიდებლობის პატრიოტებად. პარიზში მოკალათებული ემიგრაციის ლიდერები ამ მიზნის განხორციელებას ცდილობენ გარეშე ძალების დახმარებით და შინაურ აჯანყებებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებში მტრულად შეხვდა საქართველოს მშრომელი ხალხის ერთი ნაწილი. მან ამ აქტში დაინახა ძველი, თვითმპყრობელური რეჟიმის პოლიტიკის განახლება.

ამ გარემოებით მშვენივრად სარგებლობდენ საზღვარ-გარედ გადახვეწილი ემიგრაციის ლიდერები და ქვეყანას უმტკიცებდენ, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობამ საქართველოს ხალხს წაართვა ეროვნული თავისუფლება და ფეხ-ქვეშ გათელა მისი დამოუკიდებლობაო.

თუმცა, ამ ისტერიული ყიჟინისათვის სერიოზული ყურადღება არავის მიუქცევია და თუ დროგამოშვებით ამის შესახებ ვინმე ხმას ამოიღებდა, ეს ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ევროპის ბურჟუაზიის მიერ ბოლშევიზმთან ანგარიშის გასასწორებლად და თავისივე სასარგებლოდ.

საქართველოს მშრომელმა ხალხმა მალე აუღო ალღო შექმნილ მდგომარეობას. მან მშვენივრად შეაფასა როგორც საქართველოს გასაბჭოების მნიშვნელობა, ისე ევროპის იმპერიალისტების და რეფორმისტების „დახმარება“ დამოუკიდებლობის მოპოებისათვის.

მშრომელი ხალხის აბსოლიუტური უმრავლესობა დადგა საბჭოთა პლატფორმაზე, აღიარა მისი უპირატესობა მშრომელთა საკეთილდღეოდ და გვერდში ამოუდგა საბჭოთა ხელისუფლებას სოციალისტურ აღმშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად.

ეხლა ვიკითხოთ: მართლა დაკარგა საქართველომ დამოუკიდებლობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით, თუ პირიქით, ამის შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა მისი მდგომარეობა საერთაშორისო ასპარეზზე?

მართალია, საქართველო დღეს არ არის ფორმალურად დამოუკიდებელი რთული, ის ფედერატიულ კავშირშია ამიერ-კავკასიის მოძმე რესპუბლიკებთან და აქედან შედის საბჭოთა დიდ კავშირში, რომლის კონსტიტუციით საჯებით უზრუნველყოფილია მისი ეროვნულ-პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ეკონომიურ-კულტურული წინსვლის შესაძლებლობა.

აბა ერთი გვიბრძანონ დემოკრატიული რესპუბლიკის რესტავრაციის მომხრეებმა, რომ საქართველოს მათი ბატონობის დროს შესძლებდა სრული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და, რომ მენშევიკური ხელისუფლების დროს საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკა იყო. თუ ეს ასე იყო, მაშინ რატომ ხდებოდა, რომ იურიდიულად ცნობილ რესპუბლიკის მთავრობას იმპერიალისტური მთავრობების წარმომადგენლები თავიანთ დუდუკზე ათამაშებდენ და საკუთარ ნება-სურვილებს უკარნახებდენ? თუ მენშევიკებს დამოუკიდებლობის შენარჩუნება ბოლომდის სურდათ, რატომ ცდილობდენ ისინი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციისა თუ კონფედერაციის შექმნას ჯერ აქ, მათი ბატონობის დროს და შემდეგ პარიზში ფინანსისტ ლუბერის კარნახით? თუ საბჭოთა ფედერაცია დამოუკიდებლობის მოსპობას ნიშნავს, ამასვე არ გულისხმობს მენშევიკური ფედერაცია?

მაგრამ აქ საკითხი იმდენად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში როდი მდგომარეობს, რამდენად დაკარგული ბატონობის დაბრუნებაში.

ჩვენ აღარ გამოუდგებით ყველა იმ მიღწევების ჩამოთვლას, რომელიც საქართველოს მშრომელმა ხალხმა მოიპოვა გასაბჭოების შვიდი წლის განმავლობაში. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ყველა ის პირობა, რომელიც საჭიროა ეროვნული აღორძინებისათვის, საქართველოს მინიჭებული აქვს საბჭოთა კონსტიტუციით. მას ჰყავს საკუთარი მთავრობა, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აწარმოებს უაღრესად დიდ აღმშენებლობითი მუშაობას და მტკიცე ნაბიჯით მიყავს საქართველო სოციალისტურ სამეფოში.

ჩვენი მოვალეობაა ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი ამ საქმიანობას, გვერდში ამოუდგეთ საბჭოთა ხელისუფლებას და დავეხმაროთ მას ამ მუშაობაში. საქართველოს მშრომელმა ხალხმა უკვე შეიგნო ეს ანბანური ჭეშმარიტება. მისთვის დღეს არ არსებობს დამოუკიდებლობის საკითხი, რადგანაც მას უკვე აქვს ფაქტიურად ეს დამოუკიდებლობა. დღეს საქართველოს დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი მხოლოდ ჟორდანია-რამიშვილის და მათი აგენტების ხევდრია. ქართველი მშრომელი ხალხი დღეს წრფელის გულით დღესასწაულობს თავის საბჭოთა სამშობლოს შვიდი წლის თავს. ის იარაღით ხელში იბრძოლებს თავისი ნამდვილად დამოუკიდებელი საბჭოთა საქართველოს განსამტკიცებლად.

**ს. ელიაძე.**

# ქართული მეცნიერების ათი წლის თავი

1918 წელს, 26 იანვარს (ძველი სტილით), ჩვენში მოხდა უდიდესი მნიშვნელობის აქტი: ოფიციალურად გაიხსნა ქართულ უნივერსიტეტი და მით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ქართულ მეცნიერებას.

ქართული უნივერსიტეტი იყო ქართველი ერის დიდი ხნის ნატვრა. არა ერთხელ აღძრულა მის შესახებ შუამდგომლობა, მაგრამ თვითმპყრობელი ბიუროკრატია მას ჩვენთვის ვერ იმეტებდა. ჩვენში შეიძლებოდა წერა-კითხვის სწავლა, საშუალო კაცად გაზდომა, მაგრამ უმაღლესი ცოდნა ჩვენს ახალგაზრდას უეჭველად რუსეთში უნდა მიეღო. მშიერ-მწყურვალი სწავლობდა იგი უჩვეულო და ხშირად საბედისწერო კლიმატიურ პირობებში, ის იძენდა იქ უმაღლეს ცოდნას, მაგრამ ხშირად იძენდა უსაშინელეს სენსაც: არ უარვყოფთ: ამ გარემოებასაც ჰქონდა დადებითი მხარე: ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა იქ ეზიარა ის პირველად რევოლიუციონურ იდეებს, იქ შეუდგა ის ჭერქვეშ მუშაობას და რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობასა და მუშათა კლასთან ერთად დაიწყო პირველი იერიშები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

მან ინსტიქტიურად იცოდა, რომ ისეთ ელემენტარულ უფლებასაც კი, როგორც არის საკუთარ ქვეყანაში ჩვეულ კლიმატიურ პირობებში უმაღლესი ცოდნის მიღება—ის მოიპოვებდა მხოლოდ რევოლიუციის საშუალებით, მხოლოდ სულთამხუთავი თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობით.

ასეც მოხდა. უსაშინელესი იმპერიალისტური ომის მძიმე ტვირთქვეშ სისხლისაგან დაცლილი, ფრონტზე განადგურებული და შიგნით ყოველ დარგში გაკოტრებული, რუსეთის მონარქია ვითარცა ძირ მომპალი ხე, დაეცა სამუდამოდ, საბოლოოდ ისე, რომ დამცველი აღარავინ აღმოჩნდა. დადგა ახალი ერა. რუსეთის მრავალტანჯულ ერებს ისტორიული გზა გაუბრწყინდა, აღდგომისა და აღორძინების პერსპექტივა გადაეშალა.

ქართული უნივერსიტეტის გახსნის იდეამ სწორედ ამ მომენტში შეისხა ხორცი. ეს უდიდესი ეროვნული საქმე შემდეგ პირობებში გაკეთდა: თვითმპყრობელობის დამხობისთანავე თბილისში შესდგა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება, რომელმაც შეიმუშავა უნივერსიტეტის წესდება და ძირითადი დებულებანი, საზოგადოება შეუდგა აგრეთვე უნივერსიტეტისათვის საჭირო ნივთიერ საშუალებათა გამოძებნას. რუსეთის დროებით მთავრობამ ზევიდან დაუნიშნა ამიერ-კავკასიას საგანგებო მმართველობა, ე. წ. ოზაკომის — ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის — სახით. ისე, როგორც ძველი ბიუროკრატიული რუსეთი ადგილობრივ ხალხს არაფერს კითხავდა, დროებითმა მთავრობამაც არ მოისურვა ადგილობრივ პირობებისათვის ანგარიშის გაწევა და ადგილობრივ მშრომელთა სურვილების თანახმად, ახალი მართვა-გამგეობის მოწყობა. იმ ქვეყანაში, სადაც გიზგიზებდა რევოლიუციის ცეცხლი, სადაც მუშები და გლეხები 30 წლის განმავლობაში მედგრად იბრძოდენ მოწინავე პოზიციებზე, სადაც აღარ მოიპოვებოდა უპარტიო კაცი— დაინიშნა ყველაზე რეაქციონური, ყველაზე ბურჟუაზიული მმართველობა! აი, ამ მმართველობას წარედგინა დასამტკიცებლად ქართულ უნივერსიტეტის წესდება და ძირითადი დებულებანი.

განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ ქართული უნივერსიტეტი ორ მუხლში განსხვავდება, რუსეთის უნივერსიტეტისაგან: 1) მასში წესდება მხოლოდ ერთი ხარისხი, სახელდობრ: დოქტორის ხარისხი და 2) მასში ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობა ქართულ ენაზე იქნებაო.

თავის დებულების დასამტკიცებლად განმარტებითი ბარათის ავტორი უთითებს 1914 წლის 1-ლ იანვრის კანონზე, რომელმაც მიანიჭა კერძო უნივერსიტეტებსა და გიმნაზიებს სამშობლო ენებზე სწავლების უფლება, აგრეთვე განათლების მინისტრის განკარგულებაზე უკრაინულ გიმნაზიების გახსნისა და უკრაინულ ენაზე სამინისტროს (პეტროგრადში 25 აგვისტოს, 1917 წ.).

ოზაკომმა უნივერსიტეტის დებულებათა დამტკიცების შესახებ გაუგზავნა შუამდგომლობა — განათლების სამინისტროს (პეტროგრადში 25 ივ. 1917 წ.):

1) ჩვენს კომპეტენციაში არ შედის **უნივერსიტეტის** დებულების დამტკიცება.

2) საჭიროა ადგილობრივ ბუნების და ერების წარსულის შესწავლა.

3) ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოებას მეთაურობენ სეროოზული პირები, რომლებიც შესძლებენ უნივერსიტეტის **შენახვასო.**

ასეთი იყო ოზაკომის მოსაზრებანი.

მიუხედავად ამისა, განათლების მინისტრმა **არ დაამტკიცა** უნივერსიტეტის დებულება. ამასობაში ამიერ-კავკასიის მმართველობაში მოხდა ცვლილება, ოზაკომის მაგიერ შესდგა ამიერ-კავკასიის კომისარიატი.

ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების რწმუნებული იძულებული ხდება კვლავ მიმართოს მას და სთხოვოს წესდების დამტკიცება.

განცხადებაში სხვათა შორის, ნათქვამია, რომ განათლების სამინისტრომ გამოსთქვა პრინციპიალური თანხმობა ქართული უნივერსიტეტის წესდების დამტკიცებაზე. მაგრამ ამის შესახებ არავითარი წერილობითი ცნობა არ მოგვსვლიაო და მიზეზად ასახელებს: „ხშირ ცვლილებებს, როგორც განათლების სამინისტროში, ისე თვით დრ. მთავრობაში“.

1917 წლის 2 დეკემბერს ამიერ-კავკასიის კომისარიატმა, როგორც იქნა, **დაამტკიცა** უნივერსიტეტის დებულებანი, რაც ეცნობა ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების რწმუნებულს 1917 წლის 5 დეკემბერს,— № 13448. 1918 წლის 3 სექტემბერს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადებისა.

კანონი შესდგებოდა შემდეგი მუხლებისაგან:

1) გამოცხადდეს ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად და დაერქვას: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

2) სახელმწიფო ყოველწლიურ ხარჯთაღრიცხვაში

შეტანილ იქნეს განსაზღვრული თანხა უნივერსიტეტის შესანახად.

3) დამტკიცებულ იქნეს დროებითი ძირითადი დებულება უნივერსიტეტისა.

დებულებაში ნათქვამია:

„§ 1. თბილისის უნივერსიტეტი, როგორც სამეცნიერო - სასწავლო სფეროს მხრით, ისე საუნივერსიტეტო მართვა-გამგეობისა და შინაურ მეურნეობის მხრითაც, სრულებით ავტონომიურია და ყველა ამ დარგის საქმეებს თვითვე განაგებს.

§ 2. უნივერსიტეტის მთავარ ორგანოთა მოქმედების საზოგადო მეთვალყურეობა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრის უფლებას შეადგენს.

§ 3. ქონებრივ საშუალებას უნივერსიტეტს საქართველოს მთავრობა აძლევს" და სხვ.

ასე ძნელი იყო რევოლიუციის შემდეგაც ჩვენში უნივერსიტეტის დაარსება!

უნივერსიტეტის გახსნა, როგორც ვსთქვით, მოხდა 1918 წლის 26 იანვარს, ძველი სტილით. ეს იყო ქართული კულტურისა და მეცნიერების უდიდესი ზეიმის დღე. არ დარჩენლა არც ერთი ორგანიზაცია და კუთხე საქართველოში, რომ არ გამოეგზავნოს მილოცვის დეპეშები უნივერსიტეტის გახსნის გამო.

ქვეყნის ენტუზიაზმი მარტო ამაში როდი გამოიხატა. ყოველი მხრიდან მოდიოდა დეპეშებთან ერთად ფული—შემოწირულებანი.

გილოცავთ მეცნიერების ტაძრის გახსნას და გაახლებთ ამდენ და ამდენ მანეთს მის სასარგებლოთო—იწერებოდენ ყოველ მხრიდან.

მას შემდეგ გავიდა ათი წელიწადი და დღეს ქართული კულტურისა და მეცნიერების იალბუზი ამაყად ავლებს თვალს განვლილ გზას და ითვალისწინებს თავის მიღწევებს. რევოლიუციამ მისცა მას სიცოცხლე, რევოლიუციამ მოახდინა მისი ძალების მობილიზაცია, რევოლუციის ქარცეცხლში განმტკიცდა და გამაგრდა იგი.

ათი წლის განმავლობაში მან მოიხვეჭა პირველ-ხარისხოვანი უნივერსიტეტის სახელი და თავი მოუყარა საკმაო რაოდენობის და უდიდესი მეცნიერული ღირსების ძალებს, იქ თავმოყრილია 7—8 ათასი კაცი ახალგაზრდობა, ჩვენი შემცვლელი მომავალი თაობა, რომელსაც უდიდესი ყურადღება, მოვლა და პატრონობა უნდა.

ჩვენი უნივერსიტეტი ახალგაზრდა უნივერსიტეტია, „ჯერ ნორჩია—გაიზრდება—რა იქნება!".—სწორედ მასზეა ზედგამოჭრილი...

საბჭოთა ხელისუფლება მას უდიდეს ყურადღებას აქცევს და გვწამს მისი მზრუნველობა უნივერსიტეტის მიმართ კიდევ უფრო გაიზრდება.

ყოველ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს საშუალება მიიღოს უმაღლესი განათლება.—ეს უნდა იქნეს ჩვენი უახლოესი ამოცანა.

ყოველი ჩვენი მეცნიერის ლოზუნგი უნდა იყოს:

მეცნიერი ცხოვრებასთან. რევოლიუციასთან ერთად!

მეცნიერება ადამიანის კულტურული გაწვრთვნისა და ზნეობრივი განსპეტაკებისათვის! მეცნიერება ადამიანის ბედნიერებისათვის, ბუნების საბოლოო დაპყრობისა და ადამიანის გენიალობის ახალ სასწაულთა გამოსამჟღავნებლად!..

ყოველ სტუდენტს უნდა ახსოვდეს, რომ ქართული უნივერსიტეტის მეცნიერული ავტორიტეტი დამოკიდებულია არა მარტო ხელისუფლების ყურადღებისა და მზრუნველობისაგან, არა მარტო პროფესორების სამეცნიერო უნარისა და ნიჭისაგან, არამედ ყოველი სტუდენტის მეცადინეობისა და ნიჭისაგან.

ქართული უნივერსიტეტისათვის უდიდესი სირცხვილი იქნება, რომ ის გაათავოს ისეთმა ხალხმა, რომელიც ორ სიტყვას ერთად ვერ წაიკითხავს... 

ქართველმა ოჯახის ქალმა უნდა იცოდეს, რომ მეცნიერის მუშაობას სჭირდება განსაკუთრებული პირობები, რიგიანი ოჯახი, უაღრესად ხელის შეწყობა და თბილი ზრუნვა—უამისოდ უდიდესმა ნიჭმა შეიძლება ვერაფერი გააკეთოს და უდიდესი მეცნიერი უდროოდ წუთის სოფელს გამოასალმონ, ან ლოთობის მორევში გადაეჩეხოს..

ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერს ახასიათებს ცოდნის, სწავლა-განათლების არაჩვეულებრივი წყურვილი. ამ წყურვილის დასაკმაყოფილებლად რევოლიუციამ მოგვცა უდიდესი შესაძლებლობანი.

და ჩვენს გვწამს, იმ მომენტში, როცა აზიაში მობინადრე რომელიმე ერი მიაღწევს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, საქართველოში აღარ იქნება არც ერთი სრულწლოვანი მოქალაქე, რომელსაც არ ექნება მიღებული უმაღლესი განათლება..

**ლეო შენგელაია.**

# ისტორიული დღე

25 თებერვალი მართლაც, რომ ისტორიული დღეა ქართველი ერის ცხოვრების გზაზე. მას ზეიმით ეგებება გამარჯვებული მუშებისა და გლეხების ოჯახი და მწარე მოგონებებს იწვევს ოქტომბრის რევოლიუციის მოწინააღმდეგეთა ბანაკში, რომლებიც საბოლოოდ დამარცხდენ მასთან გამართულ პოლიტიკურ ომში.

შვიდი წლის წინედ საქართველოში მოხდა უდიდესი სოციალ -პოლიტიკური აქტი—საქართველოს გასაბჭოება და მისი საბჭოთა კავშირის დიდ ოჯახში დაბრუნება. საქართველოს მუშათა კლასი, რომელიც სამოქალაქო ომის პერიოდში, ხელოვნურად მოსწყვიტეს საბჭოთა კავშირის მთლიან რევოლიუციონურ ფრონტს, სადაც ის იბრძოდა ათეული წლების განმავლობაში და რომელთანაც მას აკავშირებს მთელი მისი რევოლიუციონური წარსული და დიდება, კვლავ დაუბრუნდა თავის კერას, საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების ძლიერ კოლექტივს, გამარჯვებული რევოლიუციის ფხიზელ დარაჯს და გამოცდილ წინამძღოლს.

შვიდი წლის წინედ ქართველმა ერმა თავი დააღწია რევოლიუციისგან გაქცეულ წვრილ-ბურჟუაზიული კლასის იდეოლოგიას—მენშევიზმის ხელმძღვანელობას, რომელმაც, ოქტომბრის რევოლიუციისაგან თავის დასაცავად მიმართა „ევროპის" ორიენტაციას, ევროპის რეაქციონურ ბურჟუაზიასთან პოლიტიკურ კავშირს. ამჟამად ყველასთვის ცხადია, რომ, გარდა პოლიტიკურად გაკოტრებული მენშევიზმის ინტერესებისა, არა[illegible] არ შეიძლება გამართლება ევროპაზე ფანტასტიური ორიენტაციის, რომ ეს იყო რუსეთში დამარცხებული და საქართველოში შემოხიზნული მენშევიზმის უკანასკნელი ცდა, უკანასკნელი ხერხი მოსალოდნელი პოლიტიკური კრიზისის ასაცილებლად საჭირო ძლიერი მოკავშირის მოსანახად. საქართველოს არც ისტორიული წარსული და არც

მომავალი ეროვნული განვითარების გზები არ უკარნახებდენ მას, რომ უარი ეთქვა გამარჯვებული რევოლიუციის ხელმძღვანელობაზე, საბჭოთა ქვეყნების მუშებთან და გლეხებთან კავშირზე და თავისი ნებით დაედვა ევროპის იმპერიალისტების კოლონიალური უღელი, თავის სურვილით მოეწერა ხელი პოლიტიკურ და ეკონომიური მონობის აქტზე.

საქართველოს ფორმალური დამოუკიდებლობა, რასაც დიდ ნაციონალურ და პოლიტიკურ განძათ აცხადებდა დემოკრატიული მთავრობა, არსებითად შეიქნა ერისათვის სახიფათო და მშრომელი ხალხის საწინააღმდეგო პოლიტიკური კომბინაციების დასამალავ შირმად. დემოკრატიული მთავრობის დეკლარაციული მანევრი: „არც აქეთ, არც იქეთ“, ე. ი. არც რევოლიუციასთან და არც მის წინააღმდეგ, როდესაც მათ შორის გადამწყვეტი ისტორიული ომი არის გამართული, შეიქმნა განუხორციელებელი ილიუზია. დეკლარაციის ავტორებმა ეს უთუოდ კარგად იცოდენ, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მათ აიღეს ევროპაზე ორიენტაცია და ამით ფაქტიურად მოექცენ იმპერიალისტების გავლენის ქვეშ, დადგენ საბჭოთა კავშირის მოწინააღმდეგე ფრონტზე. უკანასკნელ ხანებში, „დემოკრატიული მთავრობის“ ყოველდღიურ საქმიანობიდანაც კი აშკარა იყო, რომ ის წარმოადგენდა საერთაშორისო რეაქციის ხელში ბოლშევიზმის და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველ იარაღს, ხოლო საქართველო და ქართველი ხალხი ამ ბრძოლის არენას და ობიექტს

ევროპის იმპერიალისტების გავლენად ზედამხედველობა იმდენად გაიზარდა ბოლო ხანებში, რომ „დამოუკიდებელ“ საქართველოს მთავრობას, წინასწარ მათთან შეუთანხმებლად, აღარ შეეძლო ისეთი უმნიშვნელო საშინაო სოციალური საკითხების გადაწყვეტა, რაც კონსტიტუციით ნებადართულია კოლონიალური ქვეყნებისთვისაც.

ქართული მენშევიზმი, მოქცეული ევროპის ორიენტაციის ქვეშ იმდენად გაიხრწნა პოლიტიკურად, რომ ის ვეღად ახერხებდა მეზობელ „დემოკრატიულ“ სახელმწიფოებთან ნომინალური მშვიდობიანობის დაცვას, მუდამ ომს აწარმოებდა ეროვნულ უმცირესობებთან, როდესაც ერთ დროს ინტერნაციონალიზმის პატრიოტად მოჰქონდა მას თავი და არბიტრის როლში გამოდიოდა კავკასიის ერებს შორის სადავო საკითხების მოსაგვარებლად.

ბოლშევიზმთან ბრძოლაში გამოაშკარავებული მენშევიზმის წვრილ-ბურჟუაზიული ბუნება, თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, მოექცა ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ, ხოლო საქართველოში იგი ოფიციალურად დაუკავშირდა ევროპის რეაქციას და მოინდომა ბოლშევიზმისაგან დასაცავად ევროპის რეაქციის გამოყენება, საქართველოს მის საფარველ ქვეშ დაყენება.

ქართული მენშევიზმი მით უფრო საშიში შეიქმნა ქართველი ხალხისათვის, როდესაც მის ხელში იყო სახელმწიფოს აპარატი, თავის პოლიტიკას აცხადებდა მთელი ერის ნაციონალურ პოლიტიკად და თვითეული აუცილებელი მარცხი ამ უაზრო პოლიტიკისა აწუხებდა ეროვნულ სხეულს, იწვევდა მის ეკონომიურ დაქვეითებას და კულტურულ დაკნინებას. თუ რამოინად დიდი ზიანი მოჰქონდა მენშევიზმის ბატონობას და რამდენად საშიში შეიქმნა იგი, ეს ერისათვის აშკარ გახდა მაშინ, როდესაც მთელი ერი დადგა ფიზიკური განადგურების და გადაგვარების საფრთხის წინაშე, როდესაც მას არ შეეძლო თუ გინდ ერთი დღე მაინც მოსვენებით ეცხოვრა. ამის შემდეგ ბუნებრივი იყო, რომ ის ვეღარ იქნებოდა მისი აქტიური დამცველი.

1921 წლის 25 თებერვალმა უკვე საზღვარი დაუდო იმ ისტორიულ გაუგებრობას, რომელიც შეუქმნა ქართველებს მენშევიზმმა, რომელშიდაც მოექცა იგი მისი ხელმძღვანელობით.

25 თებერვალმა დაარწმუნა ქართველი ხალხი, რომ დემოკრატიული მთავრობის მიერ აღებული ორიენტაცია ევროპაზე იყო ილიუზია, რომ ბურჟუაზია მაშინაც არ გამოვა წვრილი ერის „დამცველად“, როდესაც უკანასკნელი ერთგულებას ეფიცებაო და პოლიტიკურ კავშირშია მასთან, ასრულებს მის პოლიტიკურ დავალებებს.

მაგრამ 1921 წ. გენერალურ ბრძოლაში დამარცხებული მენშევიზმი, ამ კატასტროფის შემდეგაც არ იღებს ხელს „ევროპის“ ორიენტაციაზე და აშენებს რესტავრაციის პერსპექტივებს. ამ ბრძოლამ იგი მიიყვანა აგვისტოს სისხლიან ამბებამდე, რაც უკანასკნელ გამოცდათ უნდა გამოდგეს მებრძოლი მენშევიზმისათვის.

აგვისტოს ტრაგედიის შემდეგ ქართულმა მენშევიზმმა უკვე დაკარგა ის მორალური თანაგრძნობაც, რომელსაც კიდევ იმეტებდა მისთვის მეორე ინტერნაციონალი და ევროპის იმპერიალისტური წრეები. ამ უკანასკნელებს უკვე აღარ სჯერათ, რომ ამ მოძრაობას საქართველოში ან საბჭოთა კავშირში ჰქონდეს თვალსაჩინო და მასიური ხასიათი და მარტო ნ. რამიშვილის „ნაკაზები“ ხომ არ შეიძლება ეროვნულ მოძრაობათ გამოაცხადოს ვინმემ, რომელიმე პასუხისმგებელმა ორგანიზაციამ.

საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავზე აღარავისთვის არ არის გაუცნობელი საბჭოთა ხელისუფლება. ამჟამად ზედმეტია საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ პოლიტიკური აგიტაცია. შვიდი წლის მუშაობით მან საქმით დაარწმუნა ყველა, რომ ის არის ერთად-ერთი გარანტია წვრილი ერების სუვერენობის დაცვის, მისი კულტურული და ეკონომიური განვითარების, რომ ეროვნული პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის ხელმძღვანელ პოლიტიკურ ორაგნიზაციას, კომუნისტურ პარტიას, რომ იმპერიალიზმის და მილიტარიზმის დათურგვნა შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურის გარეშე.

საქართველოში აღარავინ გვეგულება ისეთი უვიცი, რომ ვერ ხედავდეს და ვერ ერკვეოდს, თუ რამდენად გაიზარდა ეკონომიურად და კულტურულად ქართველი ერი, რომ ეს მოხერხდა ისტორიულად მოწოდებული პროლეტარული პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხელისუფლების საშუალებით.

საქართველოს გასაბჭოების შვიდი წლის თავზე მაინც უნდა დარწმუნდენ საბჭოთა ხეილსუფლების მტრები და პირველ რიგში ქართველი ემიგრაციის ხელმძღვანელები, რომ უნუგეშოა მათი მდგომარეობა, განუხორციელებელია რესტავრაციის ყალბი პერსპექტივა და დროა ხელი აიღონ რამიშვილებმა თავის ბოროტი და პროვოკაციულ საქმიანობაზე.

საბჭოთა კავშირის სიმტკიცე და მისი მიღწევები ეკონომიურ და კულტურულ ფრონტზე საუკეთესო თავდებია მისი სიძლიერის და ოქტომბრის გამარჯვების საერთაშორისო მასშტაბით, რასაც ოდნავ ევრ ავნებს ქართველი ემიგრაციის სამარცხვინო საქმიანობა.

კ. მეიშვილი.

# გიორგი ქუჩიშვილის ლექსები

## ოქტომბრის მთავარსარდალი

მისი სახელი დღეს ყველაზე
უდიდესია,
ვერ შეედრება ვერც პუშკინი,
ვერც პეტრე—დიდი;—
ის იყო ყველა გაყვლეფილთა
მხსნელი მესსია,
მან ააფეთქა კლასთა შორის
თანხმობის ხიდი.
სამოქალაქო ომის ცეცხლიც
მან გააჩაღა,
რომლის დანახვაც იტაცებდა
მამაცთა გულებს,
ხალხის წინამძღოლს
ხალხის მტრები
სთვლიდნენ ყაჩაღათ,
ის კი ჩირაღდნით
წინ უძღოდა აჯანყებულებს.
გრგვინვა - გრიალით ინგრეოდენ
სრა—სასახლენი,
პროჟექტორივით ანათებდენ
ცას ყუმბარები,
რევოლუციის მთავარსარდლათ
იყო ლენინი
და ყველა ფრონტებს დაეუფლენ
მისი ჯარები.
მეექვსედ ნაწილს
უზარმაზარ დედამიწისას
დაეპატრონა დიქტატორი—
ხალხი მშრომელი,—
ის შეასრულებს უკვდავ ანდერძს
დიდ ბელადისას
და ეს იქნება მისი ძეგლი,
ძეგლი, რომელიც გაუძლებს ყველა
ქარიშხლიან საუკუნეებს.

## 25 თებერვალი

(ხალხურ კილოზე)

თებერვალი
ჰბერავდა,
ზღვას და ხმელეთს
ჰსერავდა,
მუშურ
ხელისუფლებას
ხმლით და
სისხლით
სწერავდა!
ოქტომბერი
ჰბერავდა,
წითელ დროშას
ჰკერავდა,
აჯანყების
ხანძარი
ზეცას წითლად
ჰფერავდა.
თებერვალი,
ჰბერავდა,
ხალხი რისხვით
ღელავდა,
წითელი
ვარსკვლავებით
საქართველო
ელავდა:
ოქტომბერი
ჰბერავდა,
ზღვას და ხმელეთს
ჰსერავდა,
რაც წინ
ელობებოდა,
დაუნდობლად
ჰქელავდა!

## წითელ-არმიელს

წითელო მხედარო,
ამაყო, მედგარო,
გასწიე წინ!
ლაჩარს არ ედარო
იყავ სანეტარო
გარეთ და შინ!
გაშალე ალამი,
დასცალე ვარამი,
მზეს მიესალმე,
მზეს წითლად შლილს!
აღმართე
მახვილი
და მხნე
შეძახილით
ეკვეთე მტრებს და
სძლიე სიკვდილს!
ძირს ბურჟუაზია,
ძირს იმპერიალიზმი,—
ვაშა ლენინს!
ვაშენოთ კომუნა
და სოციალიზმი,—
მივეცეთ ლხინს!

წითელო მხედარო,
კლდესავით შედგარო,
იარე წინ!
ბრძოლებში ქებული,
კვლავ გამარჯვებული
დაბრუნდი შინ!

# ქორწილი შვიდეულით

(საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავზე)

როცა გზა ყველგან შეჰკრა ყინულმა
და ცაც გვიბღვერდა იანვრის სუსხად,
გზა მაინც ჰპოვა თებერვლის გულმა
და მოიტანა ახალი ნუსხა!
იყო შორ დროთა ეს კავალკადა,
მოჰქონდა მარჯნით ტყვია და ვერცხლი,
და გაზაფხულს სულ სამი დღე აკლდა,
რომ მოიტანა პრომეთეს ცეცხლი!
თუმცა მოდიოდა მკერდ-დაფლეთილი,
უჩანდა მრთელად ყველა იარა,
რადგან მის თავზე, ვით გაკვეთილი,
მწარე წარსულმა გადაიარა...
წინ მიეგება მუშა და გლეხი,
მუშა და გლეხი მას თან მოსდევდა,
გულში ეხვია ოქტომბრის მეხი
და მაისის მზეს თან მოარხევდა...
ჩამძიმებული მოჰქონდა შუბლი,
შიგ კი ესახლა ბევრი ხალისი,
და, ვინც იმის წინ შეზღუდა ზღურბლი,
ო, რა რიგ იყო შესაბრალისი!...
ახლა დააწყო მან ბევრი ზოდი
და ჩამოასხა ბევრი დუღაბი,
მზით შეიმოსა, მთვარითაც ზოგი
და ზოგს ორივე მხრით დაუღამდა....
მაინც ნათელი დილა ციალობს,
კვლავ უმშვენესი დღის მოლოდინით,
მთაშიც კი, მთაშიც რუ მუსიკალობს
და ფერდიც მთისა სტკბება წოდინით...
დაბლა ეცემა ნიავი ფრენით,
იქ, სადაც ველებს ტრაქტორი სძალავს,
წინ ბოლქვად ბოლის და ორთქლის ფენით
უკან მიდამოს ჰბარავს და ჰკვალავს...
კორდზე სათიბიც გადაიკეცა,
ძირზე რომ ელვით ედება ცელი,
და დაჰქათქათებს ქვეყანას ზეცა....
და ეს ქვეყანაც უფრო ვრცელი...
ცას მარტო მზე რთავს, ღამითაც—მთვარე,
თუ მივუმატებთ ვარსკვლავთა ხომლებს,
მაგრამ სულ სხვაა საბჭოთა მხარე,
მილიონობით რომ იტევს მშრომლებს!..
აქ „ცა-ფირუზი“ ჩვენი სამშობლოც
ისევ უხვად სდგას შრომის ზურმუხტებს,
რომ ხვალინდელ დღის სამახარობლოთ
დღე ყოველი წლად შეიბამს მუხლებს!
და, ქულაჯის წილ, ტანზე მაზარით
შემოდის „ზაჰეს“ სასიძოთ კარში,
მას პატარძლადაც, ბევრის მაყარით,
თვით „რიონჰესიც“ მოჰყვება მხარში!
რამდენი ჰ„ესი“! რამდენი წესი!
და რამდენი ხმა თან სდევს წვეულად!..
ღამეც კარგია, დღე უკეთესი,
ერთმანეთს ყელზე გადახვეულად!..
არის შეხვედრა შვიდთა მნათობთა,
ცით ჩამოწყვეტილთ ამ ქვეყანაზე,
და ხელში ნამგლით დიადი შოთა
პოემას ჰკაზმავს პურს და ყანაზე!. **ნ. ზომლეთელი.**

# პოლიტიკური გადასახლებულის ხმა

## წერილი ნარიმის მხარიდან

117 წ. განმავლობაში გმინავდა საქართველო რუსეთის მეფეების მძიმე უღლის ქვეშ. ამ 117 წლის განმავლობაში ბევრმა მებრძოლმა შესწირა თავი რუსეთის თვითმპყრობელობისაგან განთავისუფლებას. ბრძოლა მიმართული იყო იმ აუტანელი ჟანდარმული წესწყობილების წინააღმდეგ, რომლის მეოხებითაც როგორც რუსეთის მუშათა კლასი, ისე საქართველოს მუშათა კლასი მიწასთან იყო გასწორებული და მას ყოველივე ადამიანური უფლებები წართმეული ჰქონდა: ამიტომ იყო, რომ თავდაუზოგველად იბრძოდენ ამ ცეშაპის წინააღმდეგ, რომ მისი მოსპობით განთავისუფლებულიყო მუშათა კლასი და თვით მას მოეკიდა ხელი მართვა-გამგეობისათვის.

ამ გამანთავისუფლებელ გიგანტიურ ბრძოლაში რუსეთის მუშათა კლასთან ერთად იბრძოდა საქართველოს მუშათა კლასიც. ვის არ ახსოვს 1905 წელი და ის უამრავი მსხვერპლი, რომელიც ამ წელში და შემდეგ შეეწირა მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს? ამ მსხვერპლს უნაყოფოთ არ ჩაუვლია.

1917 წელს თვითმპყრობელობის ტახტი დაემხო, მაგრამ მისი საფუძველი, რუსეთის ბურჟუაზია და დიდი მემამულეები ისევ ისე დარჩენ. კიდევ მეტი: ახლა მათ ჩაიგდეს ხელში სახელმწიფოს მართვა-გამგეობის მთელი აპარატი. მენშევიკებმა და ესერებმა უღალატეს რევოლიუციას და მუხლი მოხარეს ბურჟუაზიის წინაშე, მაგრამ მედგრად დაჰქროლა 26 ოქტომბრის გრიგალმა და რუსეთის პროლეტარიატმა, კომუნისტური პარტიის მეთაურობით, საბოლოოდ გაანადგურა ბურჟუაზიული ნაშთები.

როდესაც რუსეთის პროლეტარიატი გააფრთებული ებრძოდა შინაურს და გარეშე მტერს, რას აკეთებდენ ამ დროს ქართველი მენშევიკები? ისინი ამ დროს საქართველოში იწვევდენ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებს რუსეთის და საქართველოს პროლეტარიატის წინააღმდეგ საბრძოლველათ. მათი წყალობით ქართველმა მენშევიკებმა შექმნეს „დამოუკიდებელი“ საქართველო, სადაც ჯერ გერმანიისა და ოსმალეთისა და შემდეგ ინგლისის და საფრანგეთის გენერლები თავისუფლად დათარეშობდენ და რაც უნდოდათ, იმას ჩადიოდენ, სამი წლის განმავლობაში ბატონობდენ მენშევიკები საქარრთველოში. ამ ხნის განმავლობაში ორი თვის მშვიდობიანობაც ვერ მიანიჭეს ხალხს. სად იწყებოდა კანონიერება და სად თავდებოდა, არ იცოდი. ქართველმა მუშათა კლასმა ვერ მოითმინა ასეთი მართვა-გამგეობა, ის ვერ შეურიგდა იმ აზრს, რომ ქართველი მუშათა კლასი ჩამოშორებული უნდა ყოფილიყო რუსეთის მუშ. კლასს და მენშ. მთავრობას ბევრგან მოუწყო აჯანყება და 1921 წ. რუსეთის პროლეტარიატის დახმარებით დაემხო მენშევიკური მთავრობის ბატონობა, მაგრამ მენშევიკებს მაინც არ შეუწყვეტიათ ბრძოლა პროლეტარული სახელმწ. წინააღმდეგ პარიზში გაქცეული მთავრობის ხელმძღვანელობით საქართ.-ში მზადდებოდა ავანტიურა მუშათა კლასის წინააღმდეგ, და მოწამენი ვართ, თუ რა უბედურება დაატყდა ქართველ ხალხს 1924 წლის ავანტიურის გამო..

ამ ავანტიურის შემდეგაც არ შეწყვეტილა მუშაობა მუშათა კლასის წინააღმდეგ, მაგრამ ეს მუშაობა, თუ ჟორდანია-რამიშვილის მაშინდელ დირექტივებს დაუჯერებთ, უნდა ყოფილიყო იდეური და არამც და არამც აჯანყებისათვის. მაგრამ ვინ იცოდა, თუ გულში რას ფიქრობდენ ეს ვაჟბატონები. მაგრამ მათი დაფარული აზრებიც გამომჟღავნებული იქნენ იმ სადირექტივო წერილებში, რომელიც 1927 წელს ჩამოართვეს ემისარ ქარცივაძეს, გამოგზავნილს საზღვარგარეთელ ბიუროდან საქართველოში ახალი ავანტიურის მოსაწყობად.

ამ სადირექტივო წერილებმა დიდი ზიზღი გამოიწვია როგორც ჩემში, ისე მრავალ სხვა გადმოსახლებულებში. ჩვენს წინ თავისთავად დადგა კითხვა: ნუ თუ ჟორდანია და ძმანი მისნი კიდევ აპირებენ საქართველოში ავანტიურის მოწყობას? ნუ თუ წარსული დიდი მარცხი საკმაო არ იყო იმისთვის, რომ ჟორდანია-რამიშვილს ჭკუა ესწავლათ? მაგრამ აშკარაა, პარიზში სამშვიდობოზე მოკალათებულ ჟორდანიასა და მის შეთხელებულ ლაშქარს ვერაფერი ვერ უსწავლია წარსულის მაგალითებიდან... ეტყობა, მათ კიდევ ვილაცასი იმედი აქვთ. მაგრამ სცდებიან ეს ვაჟბატონები. ქართველმა ხალხმა დიდი ხანია გაუსინჯა კბილები ჟორდანია-რამიშვილს. ხალხი ზიზღით შეხედა მათ ავანტიურისტულ პოლიტიკას. მაგრამ ეს გარემოება სულაც არ გვათავისუფლებს ჩვენ, ესე იგი იმათ, რომლებმაც უკვე ვიგემეთ ამ ავანტიურის მწარე ნაყოფი, ვუთხრათ ქართველ მშრომელ ხალხს ჩვენი, მწარე გამოცდილებით ნაკარნახევი სიტყვა. ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია ვუთხრათ ქართველ მშრომელებს, რომ მეტის ენერგიით შეებრძოლონ მათ ჟურდანია-რამიშვილის მიერ წარმოებულ ხალხის დამღუპველ პოლიტიკას...

აგრეთვე საჭიროდ მიმაჩნია ვურჩიო ამხ. ახალგზელებს, რომ „ახალი გზის“ ფურცლებზე მოწოდებით მიმართონ საქართველოდან ციმბირში და სხვაგან გადასახლებულებს, რომელთა შორის დღეს ერთობ ბევრია ისეთი, რომლებიც ჰგმობენ თავის წარსულ პოლიტიკურ ნაბიჯებს და სულითა და გულით თანაუგრძობენ საბჭოთა საქართველოს. ჩვენ ვიცით, რომ გადმოსახლებულების დიდი უმეტესობა ხმა-მაღლა დაგმობს ჟურდანია-რამიშვილის ავანტიურისტულ პოლიტიკას. ეს კი დიდ სამსახურს გაუწევს, როგორც ქართველი ხალხის შეგნებას, ისე გადმოსახლებულთა სულიერ შეკავშირებას, მათში უკვე მომხდარ პოლიტიკურ გარდატეხის სააშკარაოზე გამოტანას.

ამ წერილით მე მსურს მივმართო ჩემსავით ციმბირში გადმოსახლებულებს და ციხეებში მჯდომ ამხანაგებს; მე მინდა მათ ვურჩიო აღიმაღლონ ხმა ჟორდანია-რამიშვილის ავანტიურისტულ და ქვეყნის დამღუპველი პოლიტიკის წინააღმდეგ. უთხრან ამ ვაჟბატონებს, რომ ჩვენ, პოლიტიკური გადმოსახლებულები არ ვთვლით მათ ჩვენი და ქართველი ხალხის წარმომადგენლებად.. ვუთხრათ მათ, რომ ქართველი მშრომელი ხალხი აწი მათ აღარ ენდობა, თავისი ბედ-იღბალი მან ჩააბარა კომუნისტურ პარტიას, რომელმაც მიანიჭა მას მშვიდობიანობა, მისცა საშუალება პატიოსანი შრომისა, რომ ქართველ ხალხს არ ესაჭიროება მათი ვექილობა...

თუ ჩვენ პოლიტიკური „გაციმბირებულები“ ამ სიტყვებით მივმართავთ ჟორდანია-რამიშვილს და მათ ამყოლ-დამყოლებს, დარწმუნებული ვარ, რომ ისინი იძულებული იქნებიან ანგარიში გაუწიონ ჩვენს კოლექტიურ ხმას და თავი გაანებონ ქართველი ხალხის დამღუპველ პოლიტიკას.

ნურავინ იფიქრებს, რომ მე გადმოსახლებამ შემაშინა, მე სიკვდილისაც არ მეშინია, მაგრამ თუ ჩემი ასეთი წერილი ორ-სამ ურწმუნო თომას მაინც მოიყვანს გონზე და ჩააფიქრებს, თუ ის მათ დაუმტკიცებს, რომ, ჟორდანია-რამიშვილის მიერ არჩეული პოლიტიკური გზა ქართველ ხალხს მიიყვანს დაღუპვის კარებამდე, მე სრულ კმაყოფილებას ვიგრძნობ იმ იმედით, რომ ჩემს შრომასა და ტანჯვას, ჩემს მწარე განცდებსაც არ ჩაუვლია ამაოდ, რომ მეც შევიტანე ჩემი წვლილი მშრომელი ხალხის კეთილდღეობის საქმეში.

ჰიათურის 9 წლედის გამგის ყოფ. მოადგილე

თეოფილე კალანდაძე.

**ნარიმის მხარე.**

31 იანვარი 1928 წ.

# პასუხი ნოე რამიშვილის შეკითხვებზე

## რას ლაპარაკობენ ციფრები?

ნ. რამიშვილი საჭიროებს საქართველოს შესახებ ინფორმაციას და ამ მიზნით ცნობილ სადირექტივო წერილში თავის ამხანაგებს სთხოვს პასუხს შემდეგ შვიდ კითხვაზე: 1) რამდენ საათს მუშაობს ქართველი მუშა, 2) რას იღებს ხელფასათ, 3) აძლევენ თუ არა მას ხელფასს დანიშნულ ვადაზე, 4) როგორია ეს ხელფასი ომის წინა დროის ხელფასთან შედარებით, 5) რა ღირს უმთავრესი სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები: მატყლი, აბრეშუმი, სიმინდი, ბამბა, ღვინო, თამბაქო, 6) როგორია გადასახადები, 7) სკოლების შესახებ ცოდნის დონე?

არ ვიცით, შეუსრულებენ თუ არა დავალებას ნ. რამიშვილს მისი დღევანდელი ამხანაგები, მაგრამ ჩვენ, როგორც მის ყოფილ ამხანაგს, საჭიროდ მიგვაჩნია ყველა ამ კითხვებზე უტყუარი ციფრები მივაწოდოთ მას. დასკვნებს ალბად თვითონ გააკეთებს.

კითხვა პირველი: რამდენ საათს მუშაობს ქართველი მუშა? აი ციფრები, რომელიც შეეხება საქართველოს სახელმწიფო მრეწველობის უმთავრეს დარგებს *) ერთ მუშაზე მოდის ფაქტიურად დღეში ნამუშევარი საათი (ზედმეტი ნამუშევარი საათების ჩათვლით).

| დარგები | 25/26 წ.წ. | 26/27 წ.წ. | 26/27 წ. 25/26 წ. %-ში |
|---|---|---|---|
| 1. თამბაქოს მრეწველობა . . . | 6,59 | 6,57 | 99,7 |
| 2. ტყავის წარმოება . . . . . . | 7,52 | 7,43 | 96,8 |
| 3. ფეხსაცმელების წარმოება . . | 7,56 | 7,30 | 96,6 |
| 4. საპონის წარმოება . . . . . | 7,63 | 7,67 | 100,5 |
| 5. ლითოსნობა ფერადი . . . . | 8,34 | 7,92 | 95,0 |
| 6. ქვა—ნახშირის მრეწველობა . | 7,17 | 7,19 | 100,3 |
| სულ . . | 7,00 | 6,98 | 99,7 |

არცერთ დარგში ნამუშევარი საათის რიცხვი ერთ მუშაზე არ აცილდება რვა საათს, როგორც 1925—26 წ., ისე 26—27 წ. გარდა ფერადი ლითოსნობისა, სადაც 25—26 წ. ნამუშევარი საათი ერთ მუშაზე მოდის 8,34 საათი, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ აქ ხშირად ჰქონდა ადგილი ზედმეტ მუშაობას წარმოების აუცილებელი საჭიროების გამო. როგორც 25—26, ისე 26—27 წ. ზემოდ დასახელებულ 6 დარგში საშუალოდ მოდის ნამუშევარი საათი ერთ მუშაზე 7 საათი. საქართველოს მრეწველობაში სამუშაო დღე კანონით განსაზღვრულია ექვსი საათიდან 8 საათამდე, იმის და მიხედვით, თუ რამდენად მავნებელია წარმოება მუშის ჯანმრთელობისათვის.

აქ მოყვანილი ციფრები ცხადჰყოფენ იმ გარემოებას, რომ არსებული წესები სამუშაო დღის შესახებ ტარდება ცხოვრებაში მთელი ასი პროცენტით.

კითხვა მეორე: ხელფასის რაოდენობა.

მუშის საშუალო დღიური ხელფასი ჩერვ. მან. საქართველოს ს. ძ. უ. საბჭოს მრეწველობაში (შედარებისათვის აღებულია ერთი და იგივე სამრეწველო დაწესებულება).

| ტრესტები | დღიური ხელფ. ჩ. მან. 25/26 | დღიური ხელფ. ჩ. მან. 26/27 | 26/27 წ. %-ში 25/26 წ. |
|---|---|---|---|
| 1. თამბაქოს ტრესტი . . . . . | 2,13 | 2,45 | 115,0 |
| 2. ტყავ-ტრესტი . . . . . . . | 2,99 | 3,39 | 113,4 |
| 3. საპონ-ზეთის ტრესტი . . . . | 2,12 | 2,16 | 101,9 |
| 4. ხე-ტყის „ . . . . | 2,44 | 2,52 | 103,3 |
| 5. ლითონ-ტრესტი . . . . . . | 2,76 | 3,04 | 110,1 |
| 6. პოლიგრ.-ტრესტი . . . . . | 3,04 | 3,27 | 107,6 |
| 7. სამთო-მრეწ. ტრესტი . . . . | 1,67 | 1,93 | 115,6 |
| სულ . . . | 2,35 | 2,57 | 109,4 |

მუშის დღიური ხელფასი 26—27 წ. წინა წელთან შედარებით ყველა ტრესტებში იძლევა მატებას 2 პროც. დაწყებული (საპონ-ზეთის ტრესტი) და გათავებული 15,6 პროც. (სამთო მრეწველობის ტრესტ) საშუალოდ ს. მ. უ. ს. მრეწველობაში ხელფასის ზრდა უდრის 9,4 პროცენტს.

ეხლა განვიხილოთ, თუ როგორია მუშის რეალური ხელფასი. (აღებულია მუშის საბიუჯეტო შენაწყობში შემავალი საგნები კერძო ბაზრის ფარგლებში).

მუშის რეალური დღიური ხელფასი საბიუჯეტო მან 1926—27 წ. 25—26 წ. შედარებით.

| ტრესტები | 25/26 | 26/27 | 26/27 %-ში 25/26 წ. |
|---|---|---|---|
| 1. თამბაქოს ტრ სტი | 0,86 | 0,93 | 108,1 |
| 2. ტყავის „ | 1,21 | 1,29 | 106,6 |
| 3. საპონ-ზეთის „ | 0,85 | 0,81 | 95,3 |
| 4. ხე-ტყის „ | 0,96 | 0,92 | 95,8 |
| 5. ლითონტრესტი . . . . . | 1,11 | 1,15 | 103,6 |
| 6. პოლიგრაფ-ტრესტი . . . | 1,22 | 1,24 | 101,6 |
| 7. სამთო-მრეწვ. ტრესტი . . . | 0,67 | 0,72 | 107,5 |
| სულ . . . | 0,94 | 0,97 | 103,2 |

გარდა საპონ-ზეთის და ხე-ტყის ტრესტებისა, სადაც რეალური ხელფასის დაკლებასთან გვაქვს საქმე (4 პროც.) ყველა ტრესტებში რეალური ხელფასიც მატულობს; მატება ათმბაქოს ტრესტში აღწევს 8,1 პროცენტამდე; საშუალოდ „სმუსი“ მრეწველობაში გვაქვს 3,2 პროც. ზრდა.

მუშის საბიუჯეტო შენაწყობის შეფასების დროს კოოპერატიული ფასებიც რომ ყოფილიყო მხედველობაში მიღებული და არა მარტო კერძო ბაზრის ფასები, (კოოპერატივს მუშის ბიუჯეტში თითქმის 40 პროც. წონა აქვს) მაშინ მივიღებდით ხელფასის კიდევ უფრო მეტ ზრდას. 26—27 წელში შედარებით 25—26 წელთან, ვინაიდან სწორედ 26—27 წლის განმავლობაში კოოპერატიული ფასები თანდათან კლებულობს და კოოპერატიული ინდექსი 8 თვის განმავლობაში (იანვრიდან აგვისტომდე) იძლევა 12 პროცენტით დაკლებას.

კოოპერატიული საცალო ინდექსი ქ. თბილისში. (საქარ. ცენტრ. სტატ. სამმართველოს მასალების მიხედვით).

*) ცნობები მოყვანილია საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სტატგანყოფილების მასალებიდან.

| | სახ.-სამეურნეო | სამრეწველო | საერთო |
|---|---|---|---|
| 1 იანვარი . . . . . . . . | 100 | 100 | 100 |
| 1 თებერვალი . . . . . . . | 0,98 | 100 | 0,99 |
| 1 მარტი . . . . . . . . | 0,95 | 0,99 | 0,97 |
| 1 აპრილი . . . . . . . . | 0,94 | 0,95 | 0,94 |
| 1 მაისი . . . . . . . . | 0,92 | 0,92 | 0,92 |
| 1 ივნისი . . . . . . . . | 0,88 | 0,90 | 0,89 |
| 1 ივლისი . . . . . . . . | 0,87 | 0,90 | 0,89 |
| 1 აგვისტო . . . . . . . . | 0,86 | 0,89 | 0,88 |

თუმცა რეალური ხელფასი ისეთივე ტემპით არ იზრდება, როგორც ნომინალური ხელფასი (ჩერვ. მან.), მაგრამ მაინც იზრდება და დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

თუ ჩვენ ავიღებთ ისეთი ეკონომიურად ძლიერ ქვეყანას, როგორიცაა შეერთებული შტატები, ჩვენ დავინახავთ, რომ მუშის ხელფასის ზრდას ფულობრივ გამოხატულებაში არ მისდევს რეალური ხელფასი.

აი, ამერიკელი მუშის რეალური ხელფასის ზრდა, (ცხრ. № 5, *) პროცენტებში:

| | ფულობრივი ხელფასი | რეალური ხელფასი |
|---|---|---|
| 1907— | 100 | 100 |
| 1910— | 105 | 92 |
| 1916— | 118 | 83 |

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ იმ დროს, როდესაც ფულობრივი ხელფასი იზრდება ათი წლის განმავლობაში 19 პროცენტით, რეალური ხელფასი კლებულობს 17 პროცენტით. ჩვენში კი ნომინალურ ხელფასთან ერთად, იზრდება რეალური ხელფასიც, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მუშის მდგომარეობა ყოველ წლობით უმჯობესდება, მიუხედავად ცხოვრების გაძვირებისა.

კითხვა მესამე. იღებს თუ არა მუშა ხელფასს დანიშნულ დროზე.

25—26 და 26—27 წ. განმავლობაში საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მრეწველობაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა ხელფასის თავის დროზე მიუცემლობისა.

თუ როდის ეძლევა მუშას თვიური ხელფასი სჩანს შემდეგი ცხრილიდან.

| ტრესტები | ხელფასი ურიგდება | |
|---|---|---|
| | თვის I ნახ. იმავე თვის | თვის მე-II ნახ. მომდევნო თვის |
| 1. თამბაქოს ტრესტი . . . . . | 15-ში | 1-ში |
| 2. ტყავის ტრესტი . . . . . . | 15-ში | 1-ში |
| 3. საპონ-ზეთის ტრესტი . . . . | 18 | 3 |
| 4. ხე-ტყის " . . . . | 18 | 3 |
| 5. ლითონ-ტრესტი . . . . . | 20 | 5 |
| 6. პოლიგრაფ-ტრესტი . . . . . | 15 | 1 |
| 7. აბრეშუმის ტრესტი . . . . . | 18 | 3 |
| 8. სამთო-მრეწ. ტრესტი . . . . | 20 | 25 |
| | 20—25 | |

*) შ. ერთებ. შტ. შრომის სტატისტიკის ბიუროს ცნობები.

თითქმის ყველა მუშას ხელფასი ეძლევა თვეში ორჯერ: 1-ლი ნახევრის 15—20 რიცხვებში, ხოლო მეორე ნახევრის შემდეგი თვის 1—5 რიცხვებში.

კითხვა მეოთხე. შედარება მუშის ხელფასისა ომის წინა დროინდელ ხელფასთან.

შედარებისათვის იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ მრეწველობის იმ დარგებით, რომელთა შესახებ მოიპოვება ომის წინა დროის ცნობები მუშის ხელფასის შესახებ.

მუშის საშუალო თვიური ხელფასი 1913 წლის ხელფასთან შედარებით (საქ. შრომის სტატისტიკის ბიუროს მასალებიდან).

| დარგები | 1913 წ. | ივნისი 27 წ. | | %% 1913 წ. |
|---|---|---|---|---|
| | მან | ჩერვონ. მან. | საბიუჯეტო მან. | საბიუჯეტო მან. |
| 1. მინერალების ამოღება და დამუშავება . . . | 22,75 | 67,40 | 24,8 | 109 |
| 2. ხის დამუშავება . . | 16,17 | 49,25 | 18,1 | 111,9 |
| 3. ცხოველების ნივთიერებათა დამუშავება . | 20,75 | 64,96 | 23.9 | 115,2 |
| 4. პოლიგრაფტ. წარმოება . . . . . . . . | 22,50 | 79,28 | 29,1 | 129,3 |

შედარება შემდეგ სურათს იძლევა: მუშის ხელფასი ომის წინა დროინდელ ხელფასს აღემატება 9-დან 29,3 პროც. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ამჟამად მუშის ხელფასზე ზედნადები ხარჯები და პროცენტული დანარიცხები 20 პროცენტს აღემატება, იმ დროს, როდესაც ასეთს ომის წინა დროში ადგილი არ ჰქონდა, დავინახავთ, რომ მუშის ეკონომიური მდგომარეობა დიდათ გაუმჯობესებულია. საილუსტრაციოთ მოვიყვანოთ კიდევ ციფრები.

მუშის ხელფასზე ზენდადები ხარჯები და პროცენტული დანარიცხები 26—27 წლის 1-ლ ნახევარში (სოციალური დაზღვევის პროცენტული დანარიცხი, კომუნალური და სხვა ხარჯები).

| მრეწველობის დარგები | თვიური ხელფასი ჩ. მან | ზედნადები დანართი | |
|---|---|---|---|
| | | აბსოლ. | პროცენტებში |
| 1. თამბაქოს მრეწვ. . . | 59,3 | 17,4 | 29,3 |
| 2. ტყავის წარმოება . | 74,6 | 26,8 | 35,9 |
| 3. ფეხსაცმ. წ-ბა . . . | 75,5 | 19,7 | 26,1 |
| 4. პოლიგრაფტ. წ-ბა . | 71,7 | 12,6 | 17,6 |
| 5. ლითონის მრეწვ. . . | 66,4 | 11,3 | 17,0 |
| სულ | 65,7 | 15,4 | 23,4 |

აქედან ცხადია, რომ ხელფასზე ზედნადები ხარჯები და პროცენტული დანარიცხები იძლევა საშუალოდ 23,4 პროც. და ადის 35,9 პროცენტამდე (ტყავის წარმოებაში). ქანაობს 17-დან (ლითონის მრეწველობაში) 35,9 პროც. (შუა) ტყავის წარმოებაში).

კითხვა მეხუთე. სასოფლო- სამეურნეო მთავარი ნაწარმოებთა ფასები ომის წინა დროინდელ ფასებთან შედარებით.

(საქ. ცენტრ. სტატ. სამმართველოს მასალებიდან).

| ნაწარმის დასახელება | ანგარიშის ერთეული | ომის წინა დროის ფასები კაპ. | 26/27 საშუალო ფასი (კაპ.) | 26/27 პროცენტში ომის წინა დროის ფას. |
|---|---|---|---|---|
| 1. მატყლი . . . . . | ფუთი | 6.00 | 20.40 | 340,0 |
| 2. აბრეშუმის პარკი . | „ | 16.00 | 24.00 | 150,0 |
| 3. სიმინდი . . . . . | „ | 50 | 1.36 | 272,0 |
| 4. ბამბა . . . . . . . | „ | 400 | 15.00 | 375,0 |
| 5. ღვინო . . . . . . | ვედრო | 1.70 | 7.13 | 419,4 |
| 6. თამბაქო . . . . . | ფუთი | 18.00 | 42.75 | 237,5 |

როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, ფასები სასოფლო-სამეურნეო მთავარ ნაწარმოებზე გაზრდილია 50 პროცენტიდან დაწყებული 319,4 პროცენტამდე (ღვინო).

საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ იზრდება ამ დროს ფასები მთავარ სამრეწველო საგნებზე (გლეხია მოსახმარი საგნები).

| | ანგ. ერთეული | 1913 წ. ფასები (კაპ.) | 26/27 საშუალო ფასები (კაპ.) | 26/27 %/% 1913 წ. |
|---|---|---|---|---|
| 1. შაქარი ფხვნ. . . . | კილოგრ. | 31,72 | 62,4 | 196,7 |
| 2. ჩითი . . . . . . . | მეტრი | 18,33 | 42,8 | 233,5 |
| 3. ნარმა . . . . . . | „ | 19,73 | 57,3 | 290,3 |
| 4. ნავთი . . . . . . | ლიტრი | 8,0 | 8,0 | 100 |

აქ ჩამოთვლილ საგნებში ყველაზე დიდად გაზრდილია ფასი ნარმაზე, ხოლო ნავთი ისევე ფასობს ამჟამად ჩერვ. მან., როგორც ეს იყო 1913 წელში (ლიტრა 8 კაპ.) შაქარის ფასი კი 96 პროცენტით გაზრდილა.

საერთოდ სასოფლო- სამეურნეო და სამრეწველო საგნების ფასებს შორის ურთიერთობას არკვევს სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საგნების ინდექსები (ომის წინა დროის ფასებია მიღებული).

საერთო საქონლის ინდექსი 1925—26 და 26—27 წლებში. (საცალო ინდექსი).

| | 25/26 წელი | | | | 26/27 წელი | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ოქტომბ. | იანვარი | აპრილი | ივლისი | ოქტომბ. | იანვარი | აპრილი | ივლისი | სექტემბ. |
| 1. სამრეწველო საგნები . . . . . . | 2.35 | 2.46 | 2.38 | 2.48 | 2.43 | 2.45 | 2.21 | 2,19 | 2.22 |
| %/%-ში . . . . . . . . . | 100 | 104,7 | 101,3 | 105,5 | 103,4 | 104,2 | 94,0 | 93,2 | 94,5 |
| 2. სას.-სამ. საგნები . . . . . . . | 1.78 | 2.07 | 2.21 | 2,17 | 2.09 | 2,24 | 2.31 | 2.21 | 2.30 |
| %/%-ში . . . . . . . . . | 100 | 116,3 | 124,1 | 121,9 | 117,4 | 125,8 | 129,8 | 124,1 | 129,2 |
| 3. საერთო ინდექსი . . . . . . . | 2.02 | 2.23 | 2.28 | 2.29 | 2.24 | 2.33 | 2.26 | 2.20 | 2.26 |
| %/%-ში . . . . . . . . . | 100 | 110,4 | 112,9 | 118,4 | 110,9 | 115,3 | 111,9 | 108,9 | 111,9 |

ორი წლის მანძილზე საერთო საქონლის ინდექსი იძლევა ზრდას 12 პროცენტით, სასოფლო- სამეურნეო ინდექსი კი იზრდება 29,2 პროცენტით, იმ დროს, როდესაც სამრეწველო ინდექსი კლებულობს 5,5 პროცენტით.

აქ მოყვანილი ცნობები აშკარად ხდიან იმ გარემოებას, რომ მრეწველობა თანდათან უკლებს ფასებს თავის საქონელზე, ხოლო გლეხის ნაწარმოებზე თანდათან მატულობს ფასები.

დასკვნა: **გლეხის, მიწის მუშის, მატერიალური მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება.**

კითხვა მეექვსე. როგორია გადასახადები.

აქ შევეხებით მხოლოდ სასოფლო- სამეურნეო გადასახადებს, ალბად ნ. რამიშვილს ეს ყველაზე მეტად აინტერესებს.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი საქართველოში **26—27 წლებში.**

(საქართველოს ფინსახკომის მასალების მიხედვით).

| | აბსოლიუტ. ციფრი | პროცენტებ. | | აბსოლიუტ. (ათას მან.) | პროცენტებ |
|---|---|---|---|---|---|
| საერთო კომლთა რიცხვი . . . . | 430,189 | 100 | შეწერილი გადას. რაოდენობა . . | 1.788,4 | 100 |
| მ. შ. გაეწერა გადასახადი . . . | 168,186 | 39,1 | მ. შ. შემოვიდა ფაქტიურად დანიშნულ ვადებში | 1.715,8 | 96 |

მოყვანილ ნცობიდან სჩანს, რომ გლეხობის 60 პროც. (უმრავლესობა) განთავისუფლებულია სრულიად **სას. სამ.** გადასახადისაგან. დაბეგრივი ნაწილი გლეხობისა თითქმის 96 პროც. სავსებით იხდის შეწერილ გადასადს დანიშნულ ვადაში. აქედან აშკარაა ის, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი სრულიად არ აწევს გლეხს მძიმე ტვირთად. ღარიბი ნაწილი გლეხობისა არაფერს არ იხდის, ხოლო გადამხდელი გლეხობა იბეგრება შეძლების და მიხედვით, რის შედეგად უნდა ჩავთვალოთ ის, რომ 96 პროც. შეწერილი გადასახადისა შემოაქვთ დაწესებულ ვადაში.

კითხვა მეშვიდე. სკოლის მდგომარეობა— ცოდნის დონე.

თუ რამდენად ძლიერი ტემპით ფართოვდება სასკოლო ქსელი და რამდენად მატულობს წლიდან წლობით მასწავლებელთა რიცხვი, ჩვენ დავინახავთ შემდეგი ცხრილიდან: (საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველოს მასალებიდან).

სკოლების და მოწაფეთა რიცხვის ზრდა დაწყებული **1914 წლიდან.**

| | | 14/15 წ. | 20/21 | 24/25 | 25/26 | 26/27 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულ. . . . . | სკოლები | არ | არ | 58 | 65 | 71 |
| | მოწაფე | იყო | იყო | 3.803 | 4.159 | 4.873 |
| 2. სოციალური აღზრდის სკოლები . . . . . . . . . | სკოლები | 1.759 | 2.007 | 2.152 | 2.245 | 2.403 |
| | მოწაფე | 154.670 | 1.86.983 | 2.57799 | 2.83563 | 2.83613 |
| 3. პროფტეხნიკური განათლების სკოლები . . . . . | სკოლები | 21 | 26 | 79 | 104 | 131 |
| | მოწაფე | 3.065 | 2.701 | 7.250 | 1.1047 | 1.2234 |
| 4. უმაღლესი სასწავლებელი . . . . . . . . . . . | სკოლები | არ | 3 | 5 | 5 | 6 |
| | მოწაფე | იყო | 5.351 | 8.038 | 8.825 | 9.551 |
| 5. მუშათა ფაკულტეტები . . . . . . . . . . . . | სკოლები | არ | არ | 2 | 4 | 5 |
| | მოწაფე | იყო | იყო | 1.602 | 1.977 | 2.505 |
| სულ . . — აბსოლიუტურ | სკოლები | 1780 | 2036 | 2281 | 2423 | 2616 |
| | მოწაფე (ათასი) | 157.7 | 195 | 278,5 | 309,6 | 312,8 |
| სულ . . — პროცენტებში | სკოლები | 100 | 114,4 | 128,1 | 136,1 | 147 |
| | მოწაფე | 100 | 123.7 | 176,6 | 196,3 | 198,3 |

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს, სკოლის რიცხვი 1914 წლიდან დაწყებული თანდათან მატულობს და 26—27 წელს ადის 2616-მდე, ე. ი. იზრდება 42 პროცენტით, თუ ცალკე სკოლის ტიპებს განვიხილავთ, დავინახავთ, რომ 1) სოციალური აღზრდის სკოლები (შრომის სკოლები), ძველად დაბალი და საშუალო ზოგადი განათლების სასწავლებლებს მოუმატიათ ომის წინა დროსთან შედარებით 26 პროცენტით. 2) პროფესიონ.-ტეხნიკური განათლების სკოლები იყო 24—25 წელში მხოლოდ 21, 26—27 წ. მათი რიცხვი ადის 131-მდე, ე. ი. იზრდება 6-ჯერ. სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებანი, უმაღლესი სასწავლებლები და მუშათა ფაკულტეტები 14—15 წელში არ არსებობდა. მოწაფეთა რიცხვი 26—27 წელში საქართველოში ავიდა 312,8 ათასამდე, ე. ი. გაიზარდა 14—15 წელთან შედარებით ერთი-ორად. როგორც ვხედავთ სახალხო განათლების საქმე საქართველოში წარმოუდგენელი სისწრაფით ვითარდება.

აი, ჩვენი პასუხი მოქ. ნოე რამიშვილის შვიდ შეკითხვაზე. აი, რას გვეუბნებიან ციფრები და ფაქტები. აქედან მხოლოდ შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება:

1) მუშა დღეში მუშაობს არა უმეტეს 8 საათისა, 2) ხელფასს ღებულობს თვეში ორხელ თავ-თავის დროზე დაწესებულ ვადაზე, 3) მისი ხელფასი იზრდება, როგორც ფულობრივ გამოხატულებაში, ისე რეალურად, 4) მუშის ხელფასმა რეალურ გამოხატულებაში უკვე გადააჭარბა ომის წინა დროის დონეს, 5) უმთავრესი სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების ფასები უფრო მეტ ზრდას იძლევა, ვინემ სამრეწველო საგნების ფასები, 6) გადასახადიდან ღარიბი გლეხობა სრულიად განთავისუფლებულია, 7) სწავლა-განათლების საქმე უმაღლეს დონეზეა აყვანილი.

აქედან ცხადია, რომ საქართველოში უკვე გაუმჯობესდა და თანდათან უმჯობესდება მუშისა და გლეხის ეკონომიური მდგომარეობა, რომ სახალხო განათლების საქმე მტკიცე ნიადაგზე დადგა.

ასეთია ჩვენი ცხოვრების სინამდვილე საქ. გასაბჭოების მეშვიდე წლის თავზე.

ჟორდანია-რამიშვილი და მათი მიმდევრები ბოლოს და ბოლოს იძულებული იქნებიან ქედი მოიხარონ ამ სინამდვილის იწნაშე, რადგანაც, როგორც მოთქმით რევოლიუციის უდიდესი ბელადი ამბობს:

„Не признавать таго, что есть нельзя:
оно само заставит себя признать“.

ვლ. პაპავა.

# ქართველი მენშევიკები და დამოუკიდებელი საქართველო

II.

როგორც დავინახეთ ნ. ჟორდანია თვითმპყრობელი რუსეთის შემოსვლას ჩვენში უმაღლესი კულტუროსანი ხალხის მდაბალ კულტუროსან ხალხთან მოსვლათ თვლიდა, მაგრამ ის ქართველი ხალხისათვის მიუღებლად ათვლის კომუნისტურ რუსეთთან კავშირში ყოფნასაც კი.

რაშია საქმე? თუ ბურჟუაზიული რუსეთის კავშირი ფეოდალურ საქართველოსთან უკანასკნელისთვის პროგრესიული მოვლენა იყო, რატომ უნდა იყოს ცუდი სოციალისტური რუსეთის მასთან ერთ კავშირში ყოფნა?

აქ მოქალაქე ჟორდანიამ შეიძლება გვიბრძანოს: ის მე-18 საუკუნის მიწურულში საქართველოსათვის პროგრესიულ მოვლენას წარმოადგენდა, დღეს რეგრესიული მოვლენაა. იმ დროს რუსეთის ბურჟუაზიული კულტურის შემოტანა ფეოდალურ საქართველოში და მით ფეოდალურ წყობილების დარღვევა სასარგებლო და მისაღები იყო, ხოლო დღეს კი კომუნისტები, ესე იგი აღმოსავლეთის ფანატიკოსები ებრძვიან მენშევიკურ საქართველოს. პირველ შემთხვევაში რუსეთმა ფეხზე წამოაყენა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალები, მეორე შემთხვევაში მან, კომუნისტურმა რუსეთმა, მიწასთან გასწორა ნაციონალური საწარმოო ძალები, ამიტომ მასთან კავშირი მიუღებელია და მას ქართველი ხალხი ვერასოდეს ვერ მიიღებსო.

თუ ეს ასეა, თუ კომუნისტურ რუსეთს ასეთი ცოდვა კი მიუძღვის საქართველოს წინაშე, მასთან კავშირი მართლაც რომ მიუღებელი იქნება. მაგრამ ეს ხომ ასე არ არის. პირიქით, ის გიგანტიური სახელმწიფო აღმშენებლობა, რომელსაც აწარმოებს ჩვენში კომუნისტური ხელისუფლება, სრულიად წინააღმდეგს მოწმობს. ნუ თუ ხალხის მთელი ეკონომიური და კულტურული ძალების გაშლა და აღორძინება, მისი დამოუკიდებლობის ეკონომიური და პოლიტიკური საძირკველის გამაგრება, მისი ეროვნულ ნიადაგზე დაყენება, ამ ხალხისთვის პროგრესიულ მოვლენას არ წარმოადგენს?

მუზი ხალთაში არ დაიმალება. აბა ვისთვის არის საიდუმლო, რომ საბჭოთა ხელისუფლება ქმნის ჩვენში ნაციონალურ მეურნეობას, ამაგრებს ქვეყნის ნივთიერ საფუძვლებს. დღეს ეს ყველასათვის აშკარაა. დღეს ამას ყველა ხედავს. და როდესაც დღეს ჟორდანია საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს აყენებს, მას ყველა ეტყვის, რომ არასოდეს არ ყოფილა ისე მჭიდრო და მყარ ნიადაგზე დაყენებული საქართველოს დამოუკიდებლობა, როგორც ეს დღეს არის. ვისთვის არის დღეს დაფარული,

რომ კომუნისტური ხელისუფლება უმაგალითო მუშაობას აწარმოებს ქართველი ხალხის ნაციონალური ეკონომიკის შესაქმნელად, საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის განსამტკიცებლად? ეს რკინის გზები, ქარხნები და ფაბრიკები, ჭაობების ამოშრობა, მიწის მორწყვა, ზაჰესი, რიონჰესი და სხვა მრავალი ელსადგურები და ათასი სხვა ასეთი საქმე ნ. ჟორდანიას აზრით ეს საქართველოს ნაციონალური ეკონომიკის გაბიაბრუება, ქართველი ერის სახელმწიფოებრივი სახის მოსპობა ყოფილა. ნურას უკაცრავად, თუ ჩვენ ჟორდანიას არ დაუჯეროთ და ქვეყნის ასეთი უმაგალითო აღმშენებლობა ამ ქვეყნისა და ხალხის აღორძინების ნიშნად და საწინდრად მივიღოთ. ნურას უკაცრავად, თუ ჩვენ ყოველი ამის მომქმედი კომუნისტური პარტია ჩვენ მოძმე ერების ნამდვილ განმანთავისუფლებელ პარტიათ, მის ჭირისუფლად, მისი საუკეთესო მებაირახტრედ ვაღიაროთ.

აბა ვინ არ იცის, ვინ არ ხედავს დღეს, რომ კომუნისტური პარტია ერთსა და იმავე დროს ხელმძღვანელობს, როგორც კლასიური ბრძოლას, ისე ნაციონალურ ბრძოლასაც. მაგრამ ეს პარტია ყოველ გზა ჯვარედინზე არ გაჰკივის თავის ასეთი მოქმედების შესახებ. ის ლაპარაკობს საქმით. კომუნისტურმა პარტიამ, იცის, რომ საბოლოო ანგარიშით ერის არსებობა, მისი ფიზიკური და სულიერი სახის შენახვა სავსებით დამოკიდებულია მის ეკონომიკაზე, ამიტომ არის, რომ საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ თავის ყურადღება და ენერგია მიმართა ქართველი ხალხის ეკონომიურად აღორძინებაზე, ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის ხალხისთვის გამოყენებაზე.

ცარიზმის ბატონობის დროს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ძალებს დაეპატრონა უცხო და რუსეთის კაპიტალი, რომელმაც საქართველო გადააქცია უბრალო კოლონიათ, რომელიც ჩვენში არ ქმნიდა, ყოველ შემთხვევაში მთელი საუკუნის განმავლობაში არ შეუქმნია ადგილობრივი ეკონომიური ძალების განვითარების პირობები. უცხო კაპიტალი ყაჩაღურად გვართმევდა ყოველ იმას, რისი წართმევა და ჩვენი ქვეყნიდან გატანა კი შეიძლებოდა.

ალბად ამას ეძახის ნ. ჟორდანია საქართველოსათვის პროგრესიული მოვლენას, ალბად ამას სთვლის იგი საქართველოს და ქართველი ხალხისთვის მისალებ მოვლენათ. ამის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ მენშევიკები ხშირად ლაპარაკობენ ევროპის კაპიტალისტურ კულტურაზე, რომ ისინი წამდაუწუმ გაიძახიან ევროპის კაპიტალზე, რომელიც თურმე, ააყვავებდა საქართველოს, რომ ამ უკანასკნელს დემოკრატიული მთავრობის დროს დასცლოდა საქართველოში შემოსვლა და ფეხის მოკიდება, რომ ის ამ დაწყევლილ „აღმოსავლეთის ბარბაროსებს" არ გაეძევებიათ საქართველოს მიწა-წყლიდან. მაგრამ ეს რომ ასე არ მომხდარიყო, ევროპის კაპიტალს რომ საქართველოში ფეხი მოეკიდებია, რა იქნებოდა? იქნებოდა ის, რაც იყო. ის ისევ ისე ძველებურად გაიტანდა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს და ჩვენი კი დაგვტოვებდა ცალიერ-ტარიელებად.

უამისოდ ევროპის კაპიტალს არ შეუძლია მოქმედება. უამისოთ ის ვერ იარსებებს. და ასეთი კაპიტალი, რა თქმა უნდა ვერ ააყვავებდა საქართველოს ხალხის ნაციონალურ კულტურას, ვერ გაამაგრებდა მისი არსებობისთვის აუცილებელ ეკონომიურ საფუძველს.

სულ სხვაა ის ეკონომიკა, ის ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც საბჭოთა გეზით მიდის. საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკა, როგორც საერთოდ მთელ საკავშირო მასშტაბით, ისე საქართველოში დიამეტრულად ეწინააღმდეგება უცხო კაპიტალისა და საერთოდ კაპიტალისტური საზოგადოების პოლიტიკას,მის მიზნებს, მის დანიშნულებას.

საბჭოთა კავშირის, მუშურ-გლეხური ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკა კი მიზნად ისახავს ადგილობრივად შექმნას ისეთი სამრეწველო ცენტრები, რომელიც პირველ ყოვლისა შინაგან ეკონომიურ ძალებს უდიდეს გასაქანს მისცემს. იმავე ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკა ქმნის ისეთ პირობებს, რომელშიც აუცილებლად უნდა განვითარდეს ეგრედწოდებული მძიმე ინდუსტრია, ე. ი. ის საწარმოო ძალები და საშუალებანი, რომელიც აქ ადგილობრივად შექმნის ყველა იმ კაპიტალისტურ ინვენტარს, რაც ასე რთული და აუცილებელია სოციალისტურ მეურნეობის განვითარების საქმეში. ამას მოწმობს და ადასტურებს საბჭოთა ხელისუფლების მთელი მოღვაწეობა საქართველოში.

ამხ. ყარიბი ზაჰესის გახსნის დღეს აღტაცებით სწერდა: 36 ათასი რკინის ცხენის ძალა შეემატა ქართველი ხალხის ნაციონალურ ენერიგასო. და ეს უტყუარი ფაქტია. მერე რას ნიშნავს ეს. ეს ნიშნავს საქრთველოში, მის დედა-ქალაქში და მის რაიონებში სახალხო მრეწველობის აღორძინებას, ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად განვითარებას. ამის უდიდესი საძირკველია ზაჰესი, რიონჰესი და მრავალი სხვა ჩვენი ელსადგურები...

მაშ ამის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობაზე ლაყბობა, მის კულტურულ- ეკონომიურად განადგურებაზე წუწუნი, მენშევიკებისათვის დაგვილოცნია... შემთხვევითი მოვლენა როდია, ის, რომ საქართველოში ბატონობის აზრით, ძალაში უნდა დარჩენილიყო ძველი კაპიტალინომიური ხასიათის წამოწყებაბა ვერ მოგვცა, მან ვერ შექმნა არა თუ ესა თუ ის საწარმო დარგი თავის სამი წლის ბატონობის დროს, გეგმაც კი ვერ შეიმუშავა ეროვნული ეკონომიკის განვითარების საქმეში. მართალია, სამი წელი არც ისე დიდი დროა, მართალია მენშევიკურ ხელისუფლებას მთელი ამ დროს განმავლობაში მუდამ საომარი ფრონტები ჰქონდა, მაგრამ პროექტის შემუშავება მაინც შეიძლებოდა. განა უკეთ პირობებში იყო კომუნისტური პარტია, რომლის ლიდერიც ამ დროს ვოლხოვსტროის და ლენინგრადის რაიონის ელექტრონის ენერგიაზე გადაყვანაზე ზრუნავდა, რომელიც ახალ ქარხანა-ფაბრიკებს აშენებდა და თვითმპყრობელობის მიერ გაპარტახებულ ეკონომიურ ძალებს ანთავისუფლებდა და ქვეყნის გაამდიდრებლად რაზმავდა?

ასეთი რამ არ იცის მენშევიკური ხელისუფლების ისტორიამ

ეს გარემოება გასაგებიც არის, ვინაიდან მენშევიკების აზრით, ძალაში უნდა დარჩენილიყო ძველი კაპიტალისტური, კერძო საკუთრებაზე აგებული ეკონომიურ-სოციალური ურთიერთობა. მენშევიკები თავის ადგილზე სტოვებდენ ძველ კაპიტალისტურ კლასებს და მაშასადამე ეკონომიური საქმიანობაც ამ კლასებს უნდა ეწარმოებიათ. მენშევიკები, როგორც ხედავთ თავის შესაფერ საქმეთ არ სთვლიდენ ხალხის ცხოვრების ეკონომიურ მხარეებზე ზრუნვას და ნ. ჟორდანია ამას მარქსის თეორიით ასაბუთებდა, სანამ ობიექტიური პირობები არ მომზადებულან, პროლეტარიატი წარმოების საქმეს ვერ დაეპატრონებაო.

მაგრამ დავუბრუნდეთ მოქ. ჭუმბურიძეს. მის წერილში ყველაზე უფრო კურიოზული ის არის, რომ ის ცდილობს ლენინიც კი ჩამოაშოროს კომუნისტურ პარტიას. აი, რასა სწერს იგი: „ახლად შექმნილ ურთიერთობაზე ააგო ლენინმა 1915 წ. თავისი ახალი ეროვნული პროგრამა და მოითხოვა ჩაგრულ ერების სავსებით განთავისუფლება... ეს ძისი მხრით ნიშნავდა ეროვნული მოძრაობის სწორათ დაფასებას და რეალურ პირობების გაგებას. ამას ლენინს არავინ არ უსაყვედურებს, თუმცა ქართველი კომუნისტების და მათი მაჩანჩალა „ახალი გზელების" ლოღიკით, ლენინსაც უღალატნია თავის ძველი პროგრამისათვის".

ასე ბრძანებს მოქ. ჭუმბურიძე, რომელიც ცდილობს ანალოგია გააკეთოს ლენინსა და ნ. ჟორდანიას შორის და ამით დაამტკიცოს ის აზრი, რომ მართალია უწინ ნ. ჟორდანიას სხვა ეროვნული პროგრამა ჰქონდა (კულტურულ-საოლქო ავტონომია), მაგრამ დღეს პირობები სავსებით შეიცვალა, ამიტომ ნ. ჟორდანია ახალ პროგრამას ადგენსო

აი საგნის მიმალვა და მიფუჩეჩება თუ გნებავთ ეს არის. ლენინისა და ნ. ჟორდანიას ნაციონალური პოლიტიკის ერთი და იგივეობის აღიარებას მხოლოდ და მხოლოდ ნ. ჭუმბურიძე თუ შესძლებდა, თუ არა ჩვენ დედამიწის ზურგზე არ გვეგულება ისეთი პუბლიცისტი, რომელმაც

ეა შესძლოს. ლენინი აყენებს ერთა განთავისუფლების ლოზუნგებს, როცა მოითხოვს კოლონიალური ხალხების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. ის მთელი სამყაროს მაშტაბით იცავს პროლეტარიატის უდიდეს ლოზუნგს: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით, როცა ის ამითაც არ კმაყოფილდება და მთელი ქვეყნის ჩაგრულ ერებს ეძახის: ჩაგრულო ერებო ყველა ქვეყნისა შეერთდით და პროლეტარიატთან ერთად მიიტანეთ იერიში მსოფლიო იმპერიალისტებზე.

ეხლა შევხედოთ რას სჩადის ჟორდანია. ის სწყვეტს ყოველგვარ კავშირს პროლეტარიატთან, ის მორთულია ნაციონალურ თოფ-იარაღით, აუღია ხელში ქართველ შავრაზმელების დროშა და ქართველ ხალხს მუშების წინააღმდეგ მოუწოდებს.

აი რაში ხედავს ლენინის და ჟორდანიის ნაციონალური პოლიტიკისა და ტაქტიკის ერთსა და იგივეობას საცოდავი ნ. ჟუმბურიძე, საცოდავი „ბრძოლისა“ და „დამოუკიდებელი საქართველოს“ პუბლიცისტები.

**ალ. ხელაძე.**

# მიწის საკითხი საქართველოში

## II.

გავეცნოთ ეხლა ჩვენი სოფლის მეურნეობის სხვა დეფექტებსაც.

დავიწყოთ სამეურნეო მიწის პირდაპირ მიკროსკოპიულ ნაწილებად დაქუცმაცებიდან. არა გვგონია, რომ სადმე მთელ ქვეყანაზე ისე დაქუცმაცებული იყოს გლეხის სახნავ-სათესი მიწა, როგორც ამას ადგილი აქვს საქართველოში. ჩვენი მიწის მფლობელობისა და სოფლის მეურნეობის ეს უდიდესი სენი ჯერ სრულებით შეუსწავლელია ჩვენს ეკონომიურ ლიტერატურაში. მოგვეპოება მხოლოდ ნედლი მასალები ამ საკითხის შესასწავლად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საქმეებში, რასაც აქვე გავაცნობთ მკითხველებს. საგაზეთო წერილში ერთობ უხერხულია სტატისტ. ცხრილებით ხშირად სარგებლობა, მაგრამ, ვიმეორებთ, ეს საკითხი ჯერ იმდენად შეუსწავლელია და თანაც მასალები იმდენად საყურადღებო, რომ ნებას მივცემთ თავს ეს ცხრილები მაინც წარვუდგინოთ მკითხველს. ამისთვის ჩვენ ავიღებთ რაჭის მაზრიდან ორ თემს, რომელიც შესდგება 8 სოფლიდან და 802 მეურნეობიდან. ამ სოფლებში მიწების „მოწყობა“ უკვე დამთავრებულია სახალხო კომისარიატის მიწის მზომელების მიერ, მაშასადამე ჩვენი ცნობები თითქმის მათემატიკურად სწორი და უტყუარია და მასში ეჭვს ვერავინ ვერ შეიტანს.

აი, ეს სასოფლო-სამეურნეო მიწების დაქუცმაცების ცხრილი.

| სოფელი | მეურნეობის რიცხვი და ნაჭრების რაოდენობა: | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1-დან 5-მდე | 5—10 | 10—15 | 15—20 | 20—25 | 25—30 | 30—40 | 40—60 | 60 მეტი |
| პცა . . . . . | 10 | 12 | 20 | 18 | 10 | 6 | 1 | 1 | — |
| ზემო კრიხი . . . | — | 9 | 33 | 7 | 4 | — | 3 | — | — |
| ქვემო კრიხი . . | 3 | 1 | 5 | 12 | 18 | 15 | 23 | 32 | 6 |
| ამბროლაური . . | 9 | 19 | 18 | 3 | 1 | — | — | — | — |
| გორი . . . . . | — | 1 | 6 | 11 | 7 | 9 | 12 | 12 | — |
| ახალი სოფელი . | 1 | 9 | 15 | 13 | 77 | 4 | 8 | — | — |
| წესი . . . . . | 17 | 24 | 36 | 44 | 41 | 36 | 53 | 28 | 1 |
| ხიმში . . . . . | 2 | 11 | 14 | 9 | 15 | 13 | 25 | 17 | 2 |
| ს უ ლ . | 42 | 86 | 147 | 117 | 103 | 83 | 125 | 90 | 9 |

ამ ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ, რომ 802 კომლი გლეხის მეურნეობა დაყოფილი და დაქუცმაცებულია — 20,416 ნაჭრად. მათ შორის 390 მეურნეობა დაყოფილია 1-დან 20 ნაჭრამდე თვითეული, 410 მეურნეობა—20-დან 60-მდე... შემდეგი ცხრილი ცხადყოფს, თუ რას წარმოადგენენ ეს ნაჭრები, რას უდრის თვითეული მათგანის სივრცე:

| სოფელი | ნაჭრებ ს რიცხვი და მ. თი სივრცის ზომა: | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 0—0,01-მდე დესიატინა | 0,01—0,05 | 0,5—0,10 | 0,10—0,25 | 0,25—0,50 | 0,50—1,0 | 1 დესიატინაზე მეტი |
| ზემო კრიხი | 57 | 557 | 160 | 35 | 4 | — | — |
| ქვემო კრიხი | 227 | 2359 | 1477 | 409 | 79 | 10 | 2 |
| გორი . . . | 111 | 793 | 464 | 238 | 44 | 11 | — |
| პცა . . . . | 249 | 576 | 343 | 324 | 36 | 11 | 1 |
| ამბროლაური | 51 | 187 | 161 | 134 | 25 | 6 | 7 |
| ცესი . . . | 80 | 1938 | 2054 | 1401 | 796 | 143 | 30 |
| ახალი სოფ. | 226 | 688 | 279 | 183 | 42 | 7 | 2 |
| ხიმში . . . | 214 | 1778 | 1000 | 373 | 109 | 10 | 5 |
| ს უ ლ | 1215 | 8866 | 5938 | 3007 | 1135 | 198 | 47 |

ეს ცხრილი იმას გვიჩვენებს, რომ ზემოთ მოყვანილი 20,416 ნაჭერი მიწიდან 1,215 ნაჭერის ზომა არ აღემატება 0,01 დესეტინას, ან 24 ოთხკუთხ საჟენს; 8876 ნაჭერის ზომა არ აღემატება 0,05 დესეტინას —120 ოთხკუთხს საჟენს: 5938 ნაჭერი არ აღემატება 0,10 დესეტინას, ან 240 ოთხკუთხ საჟენს; 3007 ნაჭერი არ აღემატება 0,25 დეს. ან 528 ოთხკუთხ საჟენს; 1135 ნაჭერის ზომა —0,5 დეს. ან 1200 ოთხკუთხ საჟენს; 198 ნაჭერი არ აღემატება 1 დესეტინას და მხოლოდ 47 ნაჭერი მიწის ზომა მეტია ერთ დესეტინაზე.

კარგად დაუკვირდით ამ ცნობებს და მიბრძანეთ: აბა რა სასოფლო მეურნეობაზე შეიძლება ლაპარაკი ასეთ პირობებში? აქ თავისთავად გაგონდებათ ქართველ გლეხებში ასე გავრცელებული ლეგენდის გმირი, რომელმაც თავისი საკუთარი ყანა ვერ იპოვა, რადგანაც ის იმდენად პატარა იყო, რომ როცა ზედ ფეხი დაადგა, მეტი აღარ გადარჩა. აი, ასეთია შედეგი „ჩამონაჭრების სისტემისა“, რომლის საშუალებითაც მემამულეებმა აულ ერთიანად გაანადგურეს „განთავისუფლებულ“ გლეხების მეურნეობა.

მეორე დიდი უბედურება ქართველი სოფლის მეურნისა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ქვეყანა უმეტეს ნაწილად მეტის-მეტად მთიანი ადგილია. ავიღოთ დუშეთის რაჭის, ლეჩხუმის მაზრები და სვანეთი, თითქმის მთელი აჭარისტანი, სამხრეთ ოსეთი, ნაწილი შორაპნის, გორის, თბილისის, თელავის და სხვა მაზრებისა, სადაც მიწის მუშას მთის ციცაბო კედლებზე უხდება მუშაობა. დასახელებულ ადგილებში თქვენ ხშირად შეხვდებით ისეთ სურათს, რომ მიწის მუშა, რომ ხრამში არ ჩაგორდეს, მიიბამს ხოლმე წელზე თოკს, რომლის მეორე თავიც ხეზეა მიბმული და მოკლე ტარიანი ბარით, თოხით, ან წერაქვით ჩიჩქნის მიწის ზედაპირს და ამზადებს სიმინდის ან სხვა რამე პურეულობის დასათესათ. ასეთი სურათი თქვენ შეგიძლიათ დაინახოთ საქართველოს სამხედრო გზაზე, ოსეთის სამხედრო გზაზე, აჭარისტანის დიდ შოშის გზაზე

და სხვაგან... მაგრამ ასეთ სამეურნეო მიწასაც სულ ორი-სამი წლის განმავლობაში ალის ხელიდან გლეჯს შეუბრალებელი ბუნება: წვიმები და ნიაღვრები სულ ერთიანად რეცხავენ და აალღვურებენ მთის კალთებზე დამუშავებულ მიწის ზედა პირს და სტოვებენ გატიტვლებულ ქვის კლდეებს, რომელიც აქა-იქ ასე საშინლად უღიმის მიწის მუშას თავისი ქვის ღიმილით, თითქოს დასცინის კიდეც: აბა დაინახე, შენი ერთად-ერთი მარჩენალი, უმისოდაც მიკროსკოპიული მიწა, საუკუნოდ მოკვდა, საუკუნოთ დაკარგა რაიმე მცენარეულობის წარმოშობის უნარიო.

საქართველო მეტის-მეტად მთიანი ქვეყანაა. ეს გარემობა მეურნეობისთვის ქმნის მეორე უბედურებასაც, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ზოგ ადგილებში პურს, თუმცა ყოველ წლივ სთესენ, მაგრამ ის ერთობ იშვიათად ასწრებს დამწიფებას, რადგანაც მას უსწრებს ადრე ზამთარი საშინელი ყინვებით. ასეთი ადგილები ჩვენ თვითონ ვიცით, მაგალითად დუშეთის მაზრაში, საქართველოს სამხედრო გზაზე; ასეთი ადგილები ბევრია დუშეთის, გორის, ლეჩხუმის მაზრებში და სვანეთში, სადაც პური ხშირად ვერ ასწრებს დამწიფებას და ძირზედვე ფუჭდება.

ჩემი ციფრებით გაკვირვებული მკითხველი აუცილებლად იკითხავს:

— კარგი და პატიოსანი, მაგრამ ასეთ აუტანელ პირობებში აქამდე როგორ არსებობდა ქართველი გლეხი?

ქართველი უმიწა-წყლო ან ცოტა მიწის პატრონი გლეხი არსებობდა მით, რომ ის სადმე სხვაგან ეძებდა და პოულობდა სამუშაოს. ყველაზე უფრო ნაკლები მიწის პატრონი გურული გლეხებით სავსე იყო ბათომი, ფოთი, სოხუმი, ნოვოროსიისკი, ოდესა და შავი ზღვის სხვა ბოლოზები. ამ ადგილებში ასობით და ათასობით შეხვდებოდით გურულ გლეხებს, რომლებიც მუშაობდენ გემების დატვირთვა-დაცლაზე. ბათომის ნევთის ქარხნები 10—15 ათას მუშას აძლევდა საქმეს ყოველწლიურად. ამ მუშების უმეტესობას შეადგენდენ ქართველები. დიდძალი ქართველი მუშა პოულობდა საქმეს ჭიათურის მარგანეცის წარმოებაში.

დღეს არცერთი ეს წარმოება არ საჭიროებს ამდენ მუშა-ხელს. მიზეზები ყველასთვის აშკარაა. ბათომში ნევთის ქარხნები თითქმის არ არსებობენ, ყოველ შემთხვევაში ნევთის („ქურქლები" „ბიდონების") წარმოება დიდი ხანია, რაც საჭირო არ არის, რადგანაც ნევთს პირდაპირ ოკეანეს გემებში ასხამენ უბიდონოთა და უქურქლოთ. ამას დაუმატეთ ის გარემოება, რომ ჩვენ დღეს ბურჟუაზიულ გარემოცვაში ვცხოვრობთ. ჩვენი ნევთის ირგვლივ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებენ ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტები. ასეთივე მდგომარეობაშია ჩვენი მარგანეცის მრეწველობის საქმეც. ჩვენი მარგანეცი ძველებურად ვერ გადის მსოფლიო ბაზარზე, წარმოება შეფერხებულია. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ ამ წარმოებაში მექანიზაცია ერთობ განვითარებულია, რასაც რამდენიმე წ. წინათ სამი და ოთხი მუშა-ხელი აკეთებდა, დღეს მას ერთი მუშაც ადვილად ერევა. ეს გარემოება ბაზრების შევიწროებასთან ერთად იწვევს მუშათა რიცხვის ერთი ათად და [illegible] შემცირებას...

მცირე მიწიანი რაჭველი გლეხები პირდაპირ [illegible] თბილისის მუშათა ბირჟაზე. დღეს ეს ასე არ არის: აქ მათ დიდი მოქიშპეები გამოუჩნდენ: მსოფლიო ომის მიერ აყრილ-აწიოკებული ხალხი ყოველ მხრიდან, განსაკუთრებით ოსმალეთის მხრიდან, მოაწყდა თბილისს. დღეს აქ მეკურტნე მუშას რაჭველებიდან ძალიან ცოტას ნახავთ, მათი ადგილი სათათრეთიდან გადმოხვეწილმა სომხებმა და ქურთებმა დაიჭირეს. რაჭველების ხელში ძველებურად დარჩენილია მარტო ქართული, ან რაჭული პურის ცხობის საქმე. მაგრამ კოოპერატივების ბატონობის დროს, და ამ საქმეში მექანიზაციის გაბატონების გამო, ეს საქმეც თანდათან ეცლება ხელიდან რაჭველ გლეხს.

მთელი ეს მუშა ხელი, შრომის ბაზარზე უმუშევრობის გამო, უბრუნდება სოფელს, სადაც ამდენ ძალას სასოფლო მეურნეობა მიწის სივიწროვის გამო, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოიყენებს, და ეს მუშა ძალა იკარგება ქვეყნისთვის უსარგებლოთ, მოუხმარებლად.

ძველად, თვითმპყრობელობის დროს, ამ უმუშევარი ძალის სოფელში დატრიალებას თავისი უაღრესად დიდი დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. უმეტეს ნაწილად ამ გარემოების შედეგი იყო, რომ ქართველი, უმეტეს ნაწილად დასავლეთი საქართველოს სოფელი უაღრესად რევოლიუციონური გამოდგა. ფაბრიკა-ქარხნებიდან სოფლად დაბრუნებულმა მუშამ სოფლად მოიტანა ქალაქში შეძენილი რევოლიუციონური აღტყინება ყოველ უსამართლოების წინაამდეგ. მან გამოაღვიძა საღათას ძილით მოცული გლეხკაცობა, ჩაუნერგა მას მებრძოლი სული, ასწავლა რევოლიუციონური ბრძოლის მეთოდები... ქალაქებიდან დაბრუნებული მუშები უდიდეს როლს თამაშობდენ საქართველოს სოფლებში. გურიამ რომ ასე უმაგალითოდ იასახელა თავი, გურულმა გლეხმა რომ პირველი რევოლიუციის დროსა და მაზე წინ ქვეყანა გააკვირვა თავისი ორგანიზაციული ნიჭითა და რევოლიუციონური ბრძოლის უნარიანობით, ეს სულ ქალაქებიდან დაბრუნებული მუშების საქმე იყო... აქ უდიდეს როლს თამაშობდენ თვითონ თვითმპყრობელობის აგენტები, რომლებიც თავიანთ სოფლებში ეტაპით გზავნიდენ ქალაქებიდან „არაკეთილსაიმედო" მუშებს. მარტო შინაგანი საქმეთა მინისტრის ცნობილი პლევეს პოლიტიკამ ვინ იცის რა დიდი სამსახური გაუწია ქართველი გლეხის გარევოლიუციონერების საქმეს. 1902 მარტში ბათომში გაფიცული მუშების უმაგალითო დახვრეტის შემდეგ პლევემ თავ-თავიანთ სოფლებში ეტაპით დაარიგა ბათომის „ბუნტოვშჩიკების" ის ნაწილი, რომელიც თვითმპყრობელობის ტყვიას გადაურჩა. ამ უკანასკნელებმა მით გადაუხადეს თვითმპყრობელობას, რომ ბრძოლის ველზე გამოიყვანეს მშიერი გლეხკაცობა, რომელმაც მედგრად აღმართა აგრარული მოძრაობის დროშა მემამულეებისა და მათი დამცველი მთავრობის წინაამდეგ

„წყალობითა და შეწევნითა" დიდი რევოლიუციისა დღეს ეს პირობები არ არსებობენ. დღეს სოფლის ღარ.-ღატაკი გლეხი თვითონ არის ქვეყნის ბატონ-პატრონი, დღეს მას არა ჰყავს არც მებატონე, არც თვითმპყრობელობა თავის ხუცებით, პრისტავებითა და სტრაჟნიკებით. დღეს მას არ მოეპოვება თავის ოჯახში პოლიტიკური ბრძოლის ობიექტი. დღეს მთავრობა თვითონ ის არის და თავისი საკუთარი თავის წინაამდეგ ბრძოლა შეუძლებელია... დღეს პოლიტიკურად ის ბედნიერია. მას აქვს თავისი საკუთარი მუშურ-გლეხური ხელისუფლება...

მაგრამ, საუბედუროდ, ის ძველებურის სიმწვავით გრძნობს სასოფლო მეურნეობისთვის აუცილებელ საჭირო მიწის სინაკლულეს. დღეს იგი ისევ ძველებურად განიცდის მიწით შიმშილს, რომელიც, რაც მეტი დრო გადის, მით უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებს....

მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საქართველოს გასაბჭოების პირველ დღიდანვე, ხელისუფლება ენერგიულად შეუდგა ამ უდიდეს ბოროტებასთან ბრძოლას. მან პირველ დღიდანვე მიმართა რადიკალურ ზომებს გლეხების მიწით დასაკმაყოფილებლად. მაგრამ, საუბედუროთ, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მიწა ერთობ მცირე გამოდგა... და ასეთ პირობებში, ცხადია, რომ ქვეყნად არ მოიპოვება ისეთი ხელისუფლება,—თუ ის, რა თქმა უნდა, არ აწარმოებს დაპყრობით ომებს ანექსიითა და კონტრიბუციით და არ აწარმოებს მეზობელი სახელმწიფოების აკლებასა და დარბევას,—რომელმაც შესძლოს თავისი სახელმწიფოს ტერიტორიის გადიდება...

და ქართველი გლეხი დღესაც განიცდის მიწით სიმშილს.

პ. გელეიშვილი.

# წითელი ჯარის 10 წ. თავისათვის

«Мы создали армию, которая первый раз в истории знает, за что она бьется».

**Ленин.**

ის გიგანტური რევოლიუციონური ბრძოლა, რომელიც გამოიარა საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა კონტრ-რევოლიუციასთან მოითხოვდა უდიდეს რევოლიუციონურ თავგანწირვას ოქტომბრის რევოლიუციის და სიმტკიცის ირგვლივ. არა ერთხელ შექმნილა ისეთი მდგომარეობა, როდესაც საფრთხეში იყო იგი, მაგრამ მას იცავდა და მფარველობდა მუშებისა და უღარიბეს გლეხების რიგებიდან დარაზმული წითელი არმია. მისმა თავდადებულმა ბრძოლამ არა ერთხელ იხსნა რევოლიუცია კონტრ-რევოლიუციონური ძალებისაგან: დენიკინის, ვრანგელის, იუდენიჩის და სხვ. ის ერთგული გუშაგია ოქტომბრის რევოლიუციის.

წითელი არმია—ეს არის კლასიური სამხედრო ორგანიზაცია, მოწოდებულია ოქტომბრის რევოლიუციის დასაცავად, შინაურ და გარეშე კონტრ-რევოლიუციონურ ძალების შემოტევისაგან. უნდა ითქვას, რომ ის პირნათლად სდგას თავის მოწოდების სიმაღლეზე, ოქტომბრის რევოლიუციის საგუშაგოზე..

დღეს საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები დღესასწაულობენ წითელი არმიის არსებობის ათი წლის თავს. ის სიხარულით და სიყვარულით ეგებება საბჭოთა ქვეყნების ფხიზელი გუშაგის—სასახელო რევოლიუციონური წითელი არმიის 10 წლის იუბილეს.. წითელი არმიის დღესასწაულს საქართველოში კალენდარულად უერთდება მეორე დღესასწაული—საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავი.

შვიდი წელი გადის მას შემდეგ, რაც საქართველოს მშრომელმა ხალხმა თავი დააღწია მენშევიზმის ხელმძღვანელობას, რომელმაც თავის უნიადაგო და მერყევი პოლიტიკით, საქართველო გახადა კონტრ-რევოლიუციონური ძალების ბაზათ და იმპერიალისტური ქვეყნების კოლონიად.

დღეს საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავზე ყველა მოწამენი ვართ იმ უაღრესად დიდ მიღწევებისა, რომელიც საქართველოს მუშათა კლასს აქვს, კულტურულ და ეკონომიურ ფრონტზე. საბჭოთა ქვეყნების მატერიალური და ტეხნიკური დახმარების გარეშე, რომელიც განსაკუთრებით უწყობს ხელს წვრილი ერების ეკონომიურად გაძლიერებას, „დემოკრატიული მთავრობის დროს ეკონომიურ კატასტროფამდე მიყვანილ ქვეყანას, არ შეეძლო ამოდენი ეროვნული დოვლათის შექმნა, ეკონომიურად ასე გამაგრება.

წითელ არმიას დიდი დამსახურება მუძღვის საქართველოს მშრომელი ხალხის წინაშე; მას დიდი ამოცანა აქვს კიდევ წინ. დღეს, როდესაც კაპიტალისტური ქვეყნები იარაზმებიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მაგრამ მის იდეურ და ორგანიზაციულ სიმტკიცეს და სიძლიერეს ალარ გაუქრდება მათი დაძლევა. კაპიტალისტურ ქვეყნების თავდასხმებს, თუ კი ასეთს ექნება ადგილი, ღირსეულ პასუხს გასცემს წითელი ამრია. ჩვენ ომი არ გვინდა, მაგრამ თუ თავს დაგვესხმიან, მაშინ საბჭოთა კავშირი შესძლებს თავის დაცვას.

ეს დღესასწაული, წითელი არმიის 10 წლის თავზე არსებობის დღესასწაული დიადია და ძვირფასი ყოველი მუშისათვის და გლეხისათვის.

გაუმარჯოს წითელი ჯარს და მის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას!

**ნ. ჯულელი.**

## ყოფ. ახალგაზრდათა მარქსისტთა სტუდენტობის ხმა

15 თებერვალს უნივერსიტეტის სტუდენტთა კლუბის დარბაზში შესდგა ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტ-სტუდენტთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 200-მდე ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტი. მოხსენება გააკეთა ამხ. არტემ ჩაჩუამ შემდეგ თემაზე: „ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია“. მომხსენებელი შეეხო ნაციონალური საკითხის ისტორიას სხვადასხვა ქვეყნებში და დაწვრილებით გააშუქა მუშათა პარტიების პოზიცია ამ საკითხში. მან აგრეთვე შეეხო ნ. ჟორდანიას დღევანდელ შეხედულებას ნაციონალურ საკითხში და ცხადჰყო, რომ დღევანდელი ნ. ჟორდანია წინააღმდეგია იმ შეხედულებისა, რომელსაც ის იცავდა 1917 წლამდე, რომ დღეს ჟორდანია ჩამოშორდა მარქსისტულ პოზიციას.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ნაციონალურ და ნაციონალისტურ პოლიტიკას და მის შედეგებს სხვადასხვა ქვეყნებში; საქართველოში მან საკითხის სწორ გადაწყვეტად ლენინური გადაწყვეტა აღიარა.

დამსწრე ახალგაზრდობამ დიდი აქტივობა გამოიჩინა მოხსენების ირგვლივ კამათში. იყო აგრეთვე მრავალი შეკითხვები.

დღეს, განაცხადა ამხ. ლომჯარიამ, უნივერსიტეტის ნაწილი, რომელიც ერთ დროს კომუნისტურ პარტიას და ხელისუფლებას ებრძოდა, მასთან არის და რევოლიუციის სადარაჯოზე სდგას. ამას ამოწმებს კომკავშირის ორგანიზაციების ზრდა ყოფ. ახ. მარქსისტთა ხარჯზე—ერთის მხრივ და არალეგალური ორგანიზაციების სრული დარღვევა, მეორე მხრივ.

კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი დადგენილება:

სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა კრება, კიდევ ერთხელ საქვეყნოდ აცხადებს, რომ სრულიად უსაფუძვლოა მარქსისტისათვის გაუმართლებელი და მუშათა კლასის ინტერესების დამღუპველი ის არალეგალური ბრძოლა, რომელსაც აწარმოებს მენშევიკური პარტია საზღვარგარეთ და მისი რამოდენიმე უპასუხისმგებლო ამხანაგები— საქართველოში.

ჩვენს უნივერსიტეტში მყოფი ახალგაზრდა მარქსისტები, რომელმაც საბოლოოდ დავგმეთ მენშევიზმი და სრულის შეგნებით მივედით საბჭოთა ხელისუფლებასთან, ფიცს ვსდებთ, რომ მუშათა კლასთან და მის ერთგულ დამცველ კომპარტიასთან ერთად ვიბრძოლებთ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის.

დასასრულ, კრებამ მიიღო წინადადება მიესალმოს საქ. კომკავშირის მე-9 ყრილობას, რომელიც გაიხსნება ოარშაბათს, 27 თებერვალს.

# პროსტიტუცია წინად და ეხლა*)

ზემოხსენებულის გარდა, არის კიდევ მთელი რიგი მიზეზებისა, რომელიც ხელს უწყობს მეძავეობის განვითარებას. ავიღოთ ქალის უუფლებობა.

ქალს არა აქვს არავითარი უფლება არც პოლიტიკურ ცხოვრებაში. არც სამოქალაქო დარგში. ყველაფერი წყდება მამაკაცის მიერ. მამაკაცის სასარგებლოდ. საფრანგეთში კანონით ქალს არ შეუძლია ბავშის „მამობა“ ეძიოს. ასეთ მდგომარეობაში მყოფი მოტყუებული ქალი, რომელსაც სახელმწიფო არ იცავს. საზოგადოებაც ზიზღით უყურებს, თითქოს მარტო ის იყოს ამაში დამნაშავე (დედობა თურმე დანაშაულია!), იძულებულია პროსტიტუციაში ეძიოს ხსნა. ძალიან დიდ პროცენტს მეძავ-ქალებისას გვაძლევს 'შინა-მოსამსახურის და კელნერშების პროფესია. გასაგებია რატომ. იყო და არის ეხლაც მდიდარ და განათლებულ

*) იხ. ჟურნალ „ახალი გზა“-ს № 57 (5).

პირთა შვილებს უფლებათ მიაჩნდათ შინა-მოსამსახურის შეცდენა და შემდეგ მისი გაგდება. ასევე ითქმის კელნერშებზედაც. მოტყუებული, უმწეო, შერცხვენილი სად უნდა წავიდეს ასეთი ქალი? ხშირად ის იძულებულია თავის ნაყოფიც მოჰკლას. თუ გაუგეს, გზავნიან მას სახრჩობელაზე, ნამდვილი მკვლელი კი თავისუფლად დასეირნობს და ახალ-ახალ მსხვერპლს დაეძებს. თანამედროვე ბურჟუაზიული ქორწინება—ეს სავაჭრო ხელშეკრულება, რომელსაც საფუძვლად უდევს შიშველი ეგოიზმი. საზიზღარი ანგარიში და არა თავისუფალი ნება-სურვილი, თანასწორობა, ლტოლვა—საიდუმლო შარავანდედეთი მოსილი, ცხადია ხელს შეუწყობს მეძავეობას. ქორწინებაში ქალი ეძებს თავშესაფარს, კაცი გამდიდრების საშუალებას. როგორ გინდათ ასეთ საფუძველზე აგებული ოჯახი კარგი იქნეს? ვერც ერთ მხარეს ქორწინება ვერ აკმაყოფილებს. იშლება და ინგრევა ოჯახი. მამაკაცი სიყვარულის სუროგატს ეძებს პროსტიტუციაში. ქალი კი, რომელიც მიყიდულია ქმარზე სიკვდილამდე, იძულებულია ითმინოს ყველაფერი, უნდა შეურიგდეს იმ აზრს, რომ იგი მხოლოდ მანქანაა კანონიერ შვილების წარმოშობისათვის. განქორწინების უფლება მას არ აქვს. ამ შემთხვევაში მისი მდგომარეობა მეძავ ქალის მდგომარეობაზე უარესია. უკანასკნელს შეუძლია ხან და ხან მაინც არ მიეყიდოს იმას, ვინც არ უნდა.

ბევრ შემთხვევაში მამაკაცი უარყოფს ქორწინებას და სქესობრივ შიმშილის დაკმაყოფილებას ის პროსტიტუციაში ეძებს. ამით ის ქმნის რა მოთხოვნილებას პროსტიტუციაზე, ხელს უწყობს მის განვითარებას.

პროსტიტუციის მომხმარებელი უმთავრესად არიან შეძლებულები. მაგრამ სამწუხაროდ, მომხმარებლებს ჩვენ მუშებშიაც შევხვდებით. რით აიხსნება ეს გარემოება? იმით, რითაც ჩვენ, საზოგადოთ ვხსნით პროსტიტუციის არსებობა - განვითარებას. ისევ და ისევ წყეული მატერიალურ მდგომარეობის სიმძიმით. მუშას ცოტა აქვს ხელფასი ოჯახის შექმნა მას არ შეუძლია, როგორ ჩავარდეს ცოლშვილის ცოდვაში, როგორც ჩვენთან იტყვიან ხოლმე, და ამიტომ სქესობრივ მოთხოვნილებას იგი იკმაყოფილებს მეძავ ქალთან. ეს მას უფრო იაფად უჯდება პროსტიტუციის მომხმარებელია აგრეთვე მოსამსახურე—მოხელე, რომელსაც მართალია აქვს ოჯახი, რომელიც მას მორალურად შეიძლება აკმაყოფილებდეს, მაგრამ მას ეშინია ოჯახის წევრთა რიცხვის გადიდების. იგი თავის ხელფასით შორს ვერ წავა, ხოლო სახელმწიფო მას ამ საქმეში ოდნავ დახმარებასაც არ უწევს. ამავე დროს მასში სქესობრივი სიმშილი არის და იგიც მიდის იმ ქალთან, რომლის ბედი მას სრულიად არ აინტერესებს. პროსტიტუციას ეტანებიან მოსწავლე ახალგაზრდობა და ჯარიც.

ზემოაღნიშნულ მიზეზების გამო, პროსტიტუცია არსებულ, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ძლიერ განვითარდა, რამაც თავის მხრივ მეორე სოციალური ბოროტების—ვენერიულ სნეულებათა გაძლიერება გამოიწვია. ბურჟუაზიულ საზოგადოებამ ამ მოვლენას მიაქცია ყურადღება, მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ პროსტიტუციასთან ბრძოლა უნაყოფოა, მაშინ იგი შეეცადა მეძავეობის მავნებლობა მაინც შეემცირებია. და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ პროსტიტუცია კანონდება, ანუ დაწესებულ იქნა ეგრედწოდებული ყოვლად უზნეო რეგლამენტაცია. 1917 წლამდე ყოფილ რუსეთის იმპერიაშიც არსებობდა რეგლამენტაცია, დღესაც არსებობს იგი გერმანიაში, საფრანგეთში. ავსტრო-უნგრეთში და იტალიაში.

რა არის რეგლამენტაცია? ეს არის უფლება, რომელიც ეძლევა ქალს სახელმწიფოსაგან, რათა თავისი სხეული გაყიდოს. მეძავი-ქალი ღებულობს ყვითელ ბილეთს, რომელიც მას უფლებას ანიჭებს გამვლელ-გამომვლელს მიაწოდოს თავის სხეული. თუ როსკიპს ასეთი ბილეთი არა აქვს, მას იჭერენ და იძულებულს ხდიან ჩაეწეროს და დაემორჩილოს რეგლამენტაციის წესებს. უკანასკნელის თანახმად, მეძავ-ქალს უფლება არა აქვს დიდ ქუჩებზე გაიაროს, იხმაუროს; მას მიჩენილი აქვს სასიარულო ადგილი. გარდა ამისა, მან უნდა სანიტარული მოთხოვნილებაც შეასრულოს. დროგამოშვებით ის უნდა მივიდეს ექიმთან და გაესინჯოს.

მერე შველის კი ეს საქმეს? აბა მოუსმინოთ ექიმ ბლაშკოს: „გავრცელებული აზრი, თითქო კონტროლი იფარავდეს ვისმე ავი სენისაგან. სამწუხაროდ, შემცდარი აზრია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა, ვინც კი კავშირს იჭერს მეძავ-ქალთან, ყოველთვის დიდ განსაცდელში ვარდება".

სქესობრივ ავადმყოფობაში რომ დავრწმუნდეთ, ამისათვის ხანგრძლივი დაკვირვება არის საჭირო, დღეში რამოდენიმე გამოკვლევას უნდა ჰქონდეს ადგილი, რომ მიზანს მივაღწიოთ. თორემ ვენერიულ სნეულებათა თვისება ისეთია, რომ ერთის შეხედვით, ერთბაშათ მისი გამოცნობა ძნელია და ზოგ შემთხვევაში შეუძლებელიც. და მერე ეს გასინჯვა ხდება ნაჩქარევათ. 4 საათის განმავლობაში ექიმს 200—300 ქალი უნდა გაესინჯა. ასეთ პირობებში ზედმეტია ლაპარაკი დადებით შედეგებზე. ყველა ამას ზედ ერთვის ისიც, რომ კანტროლი მამაკაცზე არ ვრცელდება; მას ყოველთვის შეუძლია სენი ერთი ქალიდან მეორე ქალზე გადაიტანოს და ასეთ პირობებში რეგლამენტაციას არ შეუძლია სერიოზული სარგებლობის მოტანა და წინააღმდეგ თავისი მიზნებისა, მისი არსებობით იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ სახალხო ჯანმრთელობას კიდევ მეტი საფრთხე მოელის. რეგლამენტაციით გათამამებული და ამჩატებული მამაკაცი, ადვილათ ეტანება პროსტიტუციას, ვინაიდან ის დარწმუნებულია იმაში, რომ ჯანმრთელობა მისი უზრუნველყოფილია. ასეთი ყალბი რწმენა მისთვის უმრავლეს შემთხვევაში დამღუპველია და საბედისწერო; სხვა პირობებში მას შეიძლება თავი შეეკავებია და არ მიემართა მეძავეობისათვის.

მარტო ამით არ ამოიწურება უარყოფითი მხარე სახელმწიფოს მიერ გარყვნილების დაკანონების — რეგლამენტაციის. უკანასკნელი მეძავ-ქალის ზნეობას უფრო დაბლა ცემს და აქვეითებს. თუ ერთხელ მოხდა როსკიპთა სიაში ქალი, მერე მას არ შეუძლია დაუბრუნდეს პატიოსან შრომას. ამის უფლებას მას არც რეგლამენტაცია აძლევს, არც საზოგადოება. და სიაში შეიძლება ქალი სულ ადვილათ მოხვდეს. შეიძლება პატიოსანი ქალიც არა საპატიო მიზეზითაც უდროო დროს გამოვიდეს ქუჩაში, ან კიდევ სოფლიდან ჩამოსული, ჯერ კიდევ უსაქმო, უსახლკარო, სრულიად პატიოსანი ქალი ქუჩაშია ღამის გასათევად. პოლიციის მოხელე პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. ის მიათრევს ასეთ ქალს პოლიციაში, იყვანს აღრიცხვაზე და აძლევს მას ყვითელ ბილეთს. უარის თქმა არ შეიძლება. თვითმპყრობელობის დროს ასეთ შემთხვევაში ქალს ან 500 მან. უნდა გადაეხადა, ან ციხეში უნდა მჯდარიყო. ასეთია ბოროტება უზნეო რეგლამენტაციისა.

აბოლიციონისტები ბევრს იბრძოდენ უკანასკნელის წინააღმდეგ და ამის შედეგათ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ზოგიერთ ქვეყნებში, მაგ.: ინგლისში, შვეიცარიაში—არ არის საროსკიპო სახლები. უკანასკნელის დახურვით პროსტიტუცია ცხადია, არ ალკვეთილა, მაგრამ ასეთი მდგომარეობა მაინც ნაკლები ბოროტებაა. ასეთი იყო პროსტიტუცია ყოფილ რუსეთის იმპერიაშიც 1917 წლემდე, ასეთია იგი დღესაც ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

ალ. გვასალია.

(დასასრული იქნება).

სარედაქციო კოლეგია.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქუჩა № 68.